



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION



UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

სოფელ მუხუჩის გუჩისგული პოგენციალი

სამეგრელო-ზემო სვანეთი,
ჩხოროწყუ
აგვისტო, 2023

სარჩევი



შესავალი | 5



ზოგადი ინფორმაცია
სოფელ მუხურის
შესახებ | 6



სოფელ მუხურში
არსებული ბუნებრივი
ნარმოშობის
ძეგლები | 8



**ადგილობრივი
ფლორა | 16**

სამეგრელოს რეგიონის
ფლორის ზოგადი
დახასიათება | 16



**კულტურული
მემკვიდრეობის
ძეგლები სოფელ
მუხურში და მის
მიმდებარედ | 45**

მუხურის ფუტკარი | 55
მეგრული
კულინარია | 57



დასკვნითი სიტყვა | 60



დანართები | 61

პასუხისმგებლობა

მასალა მომზადებულია ჩეხეთის რესპუბლიკის მხარდაჭერით, მის შინაარსზე პასუხისმგებელია მუხურის კლასტერი და შესაბამისად არ არის სავალდებულო გამოხატავდეს ჩეხეთის რესპუბლიკის ან UNIDO-ს შეხედულებებს.

წინამდებარე დოკუმენტს არ გაუვლია გაეროს ოფიციალური რედაქტირება. დოკუმენტში გამოყენებული აღნიშვნები არ წარმოგადგენს გაერთიანებული ერების ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის სამდივნოს (UNIDO) მოსაზრებას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით; ან მისი უფლებამოსილებების, მისი საზღვრების დელიმიტაციის, ეკონომიკური სისტემის, ან განვითარების ხარისხის შესახებ. აღნიშვნები, როგორცაა „განვითარებული“, „ინდუსტრიალიზებული“ ან „განვითარებადი“ გამოყენებულია სტატისტიკური მიზნებისთვის და არ გულისხმობს მოსაზრებას იმ ეტაპის შესახებ, რომელსაც მიაღწია კონკრეტულმა ქვეყანამ ან ტერიტორიამ განვითარების პროცესში. კომპანიების სახელების ან კომერციული პროდუქტების მოხსენიება არ ნიშნავს UNIDO-ს მიერ მათ რეკომენდირებას.



შესავალი

სოფელი მუხური არის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ერთ-ერთი გამორჩეული სოფელი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს ლამაზი და შთამბეჭდავი ბუნების, ადგილობრივი ფლორის, კლიმატის, და სოფლის-მეურნეობაში აქტიურად ჩართული ადგილობრივების ერთობლიობას, საკუთარი ტრადიციებით, ღირსშესანიშნაობებითა და ისტორიით. ამას ემატება ის პოპულარული ტურისტული მარშრუტი, რომელიც მუხურიდან იწყება და ტობავარჩხილის ტბებით გვირგვინდება. ეს ყველაფერი სოფელ მუხურს და მის მიმდებარე ადგილებს უქმნის უდიდეს ტურისტულ და აგრი-ტურისტულ პოტენციალს, რაც მოიზიდავს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ დამსვენებლებს, ტურისტებს, ავთენტური კულინარიისა თუ სათავგადასავლო და ექსტრემალური აქტივობების მოყვარულებს.

მნიშვნელოვანია, რომ პოტენციურმა ვიზიტორებმა იცოდნენ დასვენებისა და განტვირთვისთვის საჭირო იმ დიდი არჩევანის შესახებ, რასაც მუხური სთავაზობს მათ, როგორცაა ლაშქრობა, კანიონინგი, სპელეოლოგია და სპელეოდაივინგი, კაიაკინგი, ადგილობრივი სილამაზეებისა და ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, ბუნებრივი თუ კულტურული ძეგლების ნახვა, ბუნებაში გასეირნება და სხვა. სოფელში ასევე გახსნილია მუხურში მობინადრე ქართული მთის რუხი ფუტკრის მეგრული პოპულაციის (ასევე ცნობილი როგორც მუხურის ფუტკარი) გამოკვლევისთვის კვლევითი ცენტრი, რომელიც მიძღვნილია კონკრეტულად მუხურში მობინადრე ფუტკრის განსაკუთრებული ჯიშის მოძიებასა და შენახვას.

მუხურის გამორჩეული პოტენციალისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ჩეხეთის რესპუბლიკის დაფინანსებით, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO) მუხური აარჩია როგორც საპილოტე, ბენეფიციარი კლასტერი, სადაც წარმოდგენილია მცირე მენარმეებისა და მეფუტკრეების ერთობლიობა, და რაც ქმნის ნოყიერ ნიადაგს ადგილობრივი განვითარებისათვის. პროექტს ეწოდება

„მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს მენარმეებისთვის კონკურენტუნარიანობის გაზრდა კლასტერის განვითარების მეთოდით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში“ და იგი მიზნად ისახავს ადგილობრივი მცირე მენარმეებისათვის შესაძლებლობებისა და კონკურენტუნარიანობის განვითარებას კლასტერული მიდგომით.

აღნიშნული დოკუმენტი შექმნილია სამი ძირითადი მიმართულების გარშემო, რომლებიც კარგ სურათს ქმნიან სოფელ მუხურში და მის მიმდებარე არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების წარსადგენად. ეს მიმართულებებია; ბუნებრივი ძეგლები და გეომორფოლოგია, მონაცემებით მუხურისა და მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსების შესახებ, რაც ქმნის შთამბეჭდავ საწარმოებს მნახველებისათვის; ადგილობრივი ფლორა, გამორჩეული და ავთენტური სახეობებით, ხე-ტყით, სუბალპური და ალპური მცენარეები ხობის წყლის ხეობაში; კულტურული და ტრადიციული მნიშვნელობის ძეგლები და აქტივები, რომლებიც კარგად ასახავენ ამ რეგიონის მიერ განვლილ ისტორიას და წარმოადგენენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფასეულობებს; და ტრადიციული დღესასწაულები, პრაქტიკები და მეგრული კულინარია, რომელიც არის ტიპური და დამახასიათებელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის და იქცევა განსაკუთრებით დამსვენებლებისა და უცხოელი ტურისტების ყურადღებას.

თითოეულ ზემოთხსენებულ ნაწილზე დეტალური ინფორმაციის წარსადგენად გამოყოფილია ცალკე თავი, სადაც მოცემულია არსებული სიტუაციის აღწერა-დახასიათებები. ინფორმაციის მოსაგროვებლად გამოყენებულ იქნა როგორც მეორადი წყაროები, ასევე გასაუბრებები ადგილობრივებთან უფრო მეტი დეტალიზაციისათვის და სავლელ სამუშაოების შედეგად მიღებული მიგნებები.

ზოგადი ინფორმაცია სოფელ მუხურის შესახებ

სოფელი მუხური სამეგრელოს რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მდებარეობს და სოფ. ზუმს, ხაბუმეს, თაიასა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭგალს ესაზღვრება. გაშენებულია მდ. ხობისწყლის ზემონელში. მოიცავს მაფელს, ბელერს, ქოყოს (ქოო), ხაბალერს, ლეგახარეს, ლეთოლორდეს, ზემო და ქვემო ლეჩიქვანეს, არონიას აღმართსა და გერზენს (უბნების დასახელებები სოფელ მუხურში). ქ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან მუხური 15კმ-ითაა დაშორებული. მანძილი მუხურიდან წალენჯიხამდეც 15კმ-ია, მუხურიდან ზუგდიდამდე (წალენჯიხის გავლით) – 38კმ-ია, ხოლო მუხურიდან მარტვილამდე - 39კმ-ია.

სოფელი მუხური თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე ტურისტებისათვის ერთობ მიმზიდველი და საინტერესო სოფელია, სწორედ ამ სოფლიდან იწყება საქართველოში ერთერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული მარშრუტი ტობავარჩხილის ტბებისაკენ, რომელიც ზაფხულის განმავლობაში მხოლოდ 2 თვეს მოიცავს. აქ ვიზიტორებს შესაძლებლობა ეძლევათ დაკავდნენ სხვადასხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობით, გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, კლინარიას და ჩაერთონ სხვადასხვა სათავგადასავლო და ექსტრემალურ აქტივობაში, როგორცაა ლაშქრობა, კანიონინგი, სპელეოლოგია და სპელეოდაივინგი, კაიაკინგი და სხვა.

ადგილობრივი ბიომრავალფეროვნება ნატურალისტებისთვის ერთდროულად ხელმისაწვდომს ხდის ტიპურ კოლხურ ტყეს თავისი მარადმწვანე ქვეტყითა და რაც მთავარია, ადგილობრივი ენდემური, რელიქტური და იშვიათი მცენარეებით. აღსანიშნავია აგრეთვე რომ ეგრისის ქედზე გეგმარებითი დაცული ტერიტორიის საზღვრები სწორედ სოფელ მუხურის მიმდებარე ტყეზე გადის და ამავდროულად მოიცავს ხობისწყლის ხეობას თავისი შენაკადებით, რაც სოფელის ტურისტულ პოტენციალს კიდევ უფრო ზრდის. სოფელიდან 10 კილომეტრში მდინარე ხობისწყალზე, მიმდინარეობს 50 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურ „ხობი 2“-ს მცირე ზომის (6-მ-მდე სიმაღლის) კაშხლის (გვირაბის სათავე ნაგებობა) მშენებლობა, რომელიც ასევე დამატებით სანახაობას შექმნის ტურისტებისათვის.

სოფელი მუხური გამორჩეულია ბუნებრივი წარმოშობის და ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, მცენარეთა მრავალფეროვნებით, ტრადიციებითა და უმნიშვნელოვანესად, ადგილობრივი კერძებით. აქ არსებული მღვიმეთა კომპლექსები საშუალებას იძლევა ასევე სპელეოთერაპიის (მღვიმეების გამოყენება სამკურნალო მიზნით) განვითარებისათვის. სოფელი მუხური მდინარე ხობისწყლისა და ლუგელას მინერალური წყლის გამო საკავშირო მნიშვნელობის კურორტად იყო მიჩნეული. ასევე ხეობა თავისი უნიკალური მცენარეებით ქართული მთის რუხი ფუტკრის პოპულაციისათვის მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს.



სოფელ მუხურში არსებული ბუნებრივი წარმოშობის ძეგლები

სოფელი მუხური, თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მდიდარია სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი წარმოშობის ძეგლებით, რომელთა ერთობლიობაც შთამბეჭდავს სანახაობას ქმნის დამსვენებლებისა და ტურისტებისათვის. შესაბამისად, ქვევით მოცემული

თავი ეძღვნება ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებისა და სანახაობების აღწერა-დახასიათებას, რაც განუყოფელი ნაწილია სოფელი მუხურისა და მისი მიდამო ადგილების ბუნებისათვის.



მდ. ხობისწყალი

მდ ხობისწყალი თავისი შენაკადებით სოფელ მუხურს და მის მიღმა ხეობებს განსაკუთრებულობას ანიჭებს. 150 კმ-ის სიგრძის მდინარე ეგრისის ქედზე იღებს სათავეს და შავ ზღვაში ჩაედინება. სოფელი მუხურიდან მდინარის სათავეს მიმართულებით, თავის შენაკადებთან ერთად, მდინარე ძირითადად ღრმა კალაპოტით ხასითდება და განსაკუთრებულ სანახაობრივ ხედებს ქმნის. მუხურიდან 4 კილომეტრში, ლუგელას მინერალური წყლიდან მდინარის დინების მიმართულებით, ხიდამდე, მდინარეში შესაძლებელია ექსტრემალური, წყლის ტურიზმის - კაიაკინგის განვითარება. ზოგადად მდინარის სხვა მონაკვეთებიც კაიაკინგისა და კანიონინგის მაღალი პოტენციალით განსაკუთრებით გამოირჩევა.

მდ. ხობისწყალთან არის უშუალოდ დაკავშირებული ადგილობრივი სიო „მასქური“ რომელიც ხობისწყლის ხეობაში, საღამოობით წარმოიქმნება და მდინარის დინების მიმართულებით მიუყვება ხეობას დილაამდე. ხეობა ღიაა და აქ მთის და ზღვის ჰავის შერწყმა სწორედ სოფელ მუხურთან და მის მიმდებარედ ჰაერს განსაკუთრებულად მსუბუქსა და იონიზირებულს ხდის.

აღსანიშნავია ასევე პერიოდულად მდინარის ადიდებებთან და დინების შეცვლასთან დაკავშირებული კალაპოტის ცვლილებები და ფორმირების თავისებურებები. მუხურის ცენტრშივე

მ.დ ხობისწყლის მიერ ფორმირებული ულამაზესი კუნძული გვხვდება. კუნძულზე გადასვლა მდინართაა შესაძლებელი. კუნძული ქმნის დამატებით საინტერესო სანახაობრივ ობიექტს სოფლისათვის.



მერგელები

მერგელები სოფელ მუხურში, ლეთოლორდეს უბნის აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება (სოფლის ცენტრიდან შესახვევევი ხელმარჯვნივ, ადვილი მისასვლელია ნებისმიერი ტიპის სატრანსპორტო საშუალებით), ისინი პალეოცენური¹ ასაკის დანალექებია, რომლებიც ვიწრო ზოლის სახით გვხვდება (მიგარიას მასივი), წარმოდგენილია

მომწვანო-მონაცრისფრო კირქვიანი მერგელებისა და მომწვანო-ნაცრისფერი თიხიანი მერგელების მონაცვლეობით. მერგელები ზოგან მცენარეულ საფარს მოკლებულია და განვითარებულია ბედლენდური რელიეფი (გამომშრალი არეალი მცენარეების გარეშე და სხვადასხვა ფორმის ლოდებით და ქვებით). ტერიტორია საკმაოდ ვრცელია აღსაქმელად და ქმნის დამატებით საინტერესო შემეცნებით სანახაობას ვიზიტორებისათვის.

1. დედამიწის შორეული წარსულის ერთ-ერთი გეოლოგიური ეპოქა



ლუგელას მინერალური წყალი

ლუგელას მინერალური წყარო მდებარეობს სოფელი მუხურიდან 4 კილომეტრში. მინერალური შემადგენლობით 9.5 %-იანი კალციუმის ქლორიდის ხსნარს ქმნის, ადვილად შეთვისებადი კალციუმით. შესაძლებელია როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი გამოყენება. მიიღება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ასევე აქტიურად გამოიყენება გარეგანი ანთებების სამკურნალოდ. სწორედ ლუგელას წყლისა და ადგილობრივი სიო მასქურის გამო მუხური 1970-იანი წლებიდან აღიარებული იყო როგორც საკავშირო მნიშვნელობის კურორტი განსაკუთრებით ფილტვისა და ძვლების სხვადასხვა დაავადებების მქონე ადამიანთათვის.

შურუბუმუს მღვიმე

შურუბუმუს მღვიმე მდებარეობს სოფელი მუხურიდან 3 კმ-ში, მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 314 მეტრ სიმაღლეზე (უშუალოდ მდ. ხობისწყლის დონიდან 18 მეტრი), მღვიმე გეოლოგიურად ქვედაცარცული პერიოდის (უძველესი გეოლოგიური პერიოდი) დოლომიტიან კირქვებშია გამომუშავებული. იგი ჰორიზონტული, ორმხრივ

დახრილი სამსართულიანი სიღრუეა, რომლის შესასვლელიც ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით იხსნება. იგი იწყება მომცრო დარბაზით, რასაც აგრძელებს პარალელური განლაგების სამი სართული. მეორე და მესამე სართულები (ზევიდან ქვევით) გაუვალია. მისანვდომია მხოლოდ მღვიმის ზედა პირველი სართული, რომლის ძირითადი დერეფნისათვის დამახასიათებელია ვიწრო ხვრელები და გასასვლელები, რომელთა შორის არსებული სიღრუეები სიფონური ტიპით იკეტება (სიფონი - სიღრუე რომელიც მთლიანად წყლითაა ამოვსებული), თუმცა გავლა ბოლომდეა შესაძლებელი. მღვიმის გამოკვლეული ნაწილის ჯამური სიგრძე 250 მეტრია. მღვიმის შესასვლელ დარბაზსა და წყლის მოქმედებისგან დაცულ უბნებში გვხვდება თითქმის ყველა სახის ნალვენთი ფორმა - სტალაქტიტებიდან დაწყებული, ჰელიქტიტების (მღვიმური წარმონაქმნები) ჩათვლით კედლები მორთულია „გაქვავებული ჩანჩქერებით“. ფსკერზე წარმოდგენილია თიხის ნალექები, გვხვდება სხვადასხვა ზომის როგორც კირქვის, ისე პორფირიტის (ვულკანური წარმოშობის ქანი) ქვარგვალეები. შურუბუმუს მღვიმე კლიმატური თვალსაზრისით თბილ-უქარო ტიპს მიეკუთვნება. არქეოლოგიური კვლევების შედეგად მღვიმეში მიკვლეულ იქნა ქვის ხანის შემცველი კულტურული ფენები. მღვიმე ჯერ კიდევ საჭიროებს კომპლექსურ კვლევას. (მღვიმის გეგმა იხ. დანართის სახით)





დეიძახის ვოკლუზი

დეიძახის ვოკლუზები (საშუალო დებეტი (წყლის რაოდენობა) 1200 ლ. წმ, მაქსიმალური 30-35 მ3 წმ. ზოგჯერ 50 მ3 წმ.) გაედინება მდ. ხობისწყლის მარცხენა მხარეს კალაპოტის დონეზე. მას ახასიათებს ძლიერი წყალდიდობა, რაც მთლიანად დაკავშირებულია მთა მიგარიას მაღალმთიან ზოლში მოსულ ატმოსფერულ ნალექებთან, კერძოდ კი თავსხმა წვიმებთან და თოვლის დნობასთან. მიწისქვეშა წყლის ნაკადების ფორმირება ნიფურის ქვაბულში და მიმდებარე ტერიტორიებზე ხდება და მოიცავს დაახლოებით 30 კმ² ფართობის წყალშემკრებ აუზს. მიგარიას მასივზე მოსული ძლიერი წვიმის დროს დეიძახის მიწისქვეშა აუზი ივსება, წყლის დონე საგრძნობლად მაღლა იწევს და მოქმედებაში ერთვებიან მთელი რიგი სიფონური არხები, გვირაბები, დერეფნები და მძლავრი წყლის ნაკადები ამოღვრას იწყებს უფრო მაღალ ჰიდრომეტრიულ (სიმაღლე ზღვის დონიდან) ნიშნულებზე წარმოდგენილი ლოდებით მოფენილი მშრალი კალაპოტიდან, მრავალრიცხოვანი ნაპრალებიდან და კლდოვანი ნაზვავი მასიდან, ამრიგად ადამიანის თვალწინ ხდება მდინარის უცაბედი დაბადება, ზრდა და კვლავ გაქრობა. აღნიშნული მოვლენა ბუნების იშვიათ ფენომენს წარმოადგენს. ეს პროცესი მიგარიას მასივის თხემურ ზოლში თავსხმა წვიმის მოსვლიდან 4-5

საათის შემდეგ ვითარდება, ხოლო თოვლის დნობის და წვიმის თანხვედრის შემთხვევაში დეიძახის ვოკლუზებში მოვარდნილი წყლის ნაკადი თითქმის უახლოვდება მდინარე ხობისწყლის საშუალო ხარჯს (წყლის რაოდენობა). მშრალ ამინდებში ტერიტორია საკმარისი რაოდენობის ტენიანობას ინარჩუნებს და ნაზვავი კირქვის ლოდების მასიურად ხავსებით დაფარვისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება. შესაბამისად ტერიტორია ორივე დროს (წყლითაც და წყლის გარეშე) განსაკუთრებით საინტერესოა, რაც მნახველების გაოცებას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ მდინარე ხობისწყლის ნაპირებთან, დეიძახის ვოკლუზების მიდამოებში, შურუბუმუს მღვიმესა და მიმდებარე ტყის ზოლში, ჰაერში მსუბუქი იონების კონცენტრაციის გაზომვებმა აჩვენა აღნიშნული ტერიტორიის პერსპექტიულობა იონოთერაპიისა (ორგანიზმში სამკურნალო ნივთიერებათა შეყვანა ქიმიური რეაქციის შედეგად გამომუშავებული დენის საშუალებით) და სპელეოთერაპიის (მღვიმეების სპეციფიკური მიკროკლიმატის გამოყენება სამკურნალო მიზნებისათვის) თვალსაზრისით. კვლევებით დადგინდა რომ რეგიონში მასობრივი ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი თვეები მარტიდან ნოემბრის ჩათვლითაა, ხოლო სამკურნალოდ და გამაჯანსაღებელი ტურიზმისათვის წლის ყველა თვე მისაღებია.

მუხურის (ქოყოს) მღვიმე

მდებარეობს მდ. ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე, მუხურიდან 1.5-2 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 300 მეტრისა და მდინარის დონიდან 20 მეტრ სიმაღლეზე. სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე. შესასვლელი იხსნება დასავლეთის მიმართულებით. მღვიმე გამომუშავებულია ზედაცარცულ (გეოლოგიური პერიოდი) თხელშრეებრივ კირქვებში და წარმოადგენს აღმაჯალ სიღრუეს, რომელიც ტიპურ გვირაბისებურ ფორმას თითქმის ბოლომდე ინარჩუნებს. მღვიმის შესასვლელშივე გვხვდება ნაღვენთი წარმონაქმნები, მსხვილი, ბებერი სტალაქტიტების (მღვიმური წარმონაქმნები) სახით. მღვიმის ჯამური სიგრძე 1 კმ-ს აღემატება, დერეფნის საშუალო სიგანე 3 მ-ია ხოლო ჭერის სიმაღლე 2,5 მ. მღვიმიდან გამოედინება 23-25 ლ.წმ დებიტის (წყლის რაოდენობა) მქონე მუდმივმოქმედი ნაკადი, რომელიც სოფლის წყალმომარაგებისათვის გამოიყენება. ნაკადი მღვიმის მთელ სიგრძეზე 4 სიფონურ ტბას წარმოშობს და ბოლოში მეოთხე ტბის მიღმა დერეფანი გაუვალი და ლამით² ამოვსილი ნაპრალით იხშობა. კლიმატური თვალსაზრისით მღვიმე თბილ და უქარო ტიპს მიეკუთვნება. მღვიმე იდეალური ადგილია სპელეოდაივინგისათვის (რა თქმა უნდა შესაბამისი სერტიფიცირებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით). მღვიმის გეგმა იხ. დანართის სახით.



2. წყლის აუზის ფსკერში წვრილმარცვლოვანი, ქანებისა და მინერალთა ნამტვრევებისაგან შემდგარი რბილი ნალექი



გვალაშარას ჩანჩქერი, მდ. გვალაშარა

მდ. გვალაშარა 15 კმ-მდე სიგრძის, ხობისწყლის მარჯვენა შენაკადია, რომელიც სოფელ მუხურიდან 5 კმ-ის დაშორებით უერთდება ხობისწყალს. ხეობა შერეულფოთლოვანი ტყითაა დაფარული სადაც ვხვდებით ისეთ სახეობებს როგორცაა წაბლი, შქერი, კოლხური ჭყორი, რცხილა, მურყანი, ცაცხვი და სხვა. მდინარის მთელი ხეობისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სიმაღლისა და ვარდნის ჩანჩქერების კასკადი. გვალაშარას მდინარე და ჩანჩქერი მარკირებულია და იდეალური ადგილია მარტივი სირთულის კანიონინგისათვის (მთებში მოგზაურობის სახეობა, რომელიც მოიცავს კანიონებში სიარულს).



ყირზალას ჩანჩქერი

ტობავარჩხილისკენ მიმავალ გზაზე არსებული შედარებით მცირე დებეტინი (წყლის რაოდენობა) ჩანჩქერი, მდინარე ხობისწყლის მარჯვენა შენაკადს ქმნის, დაახლოებით 15 მ-მდე სიმაღლის ჩანჩქერი სამანქანო გზაზე ჩრდილო-აღმოსავლეთ ექსპოზიციას იკავებს, ბაიოსური (გეოლოგიური პერიოდი) ასასკის ტუფქვიშაქვების (მინერალი) ლოდებითაა კალაპოტი აგებული და ვიზიტორებისათვის კომპლექსში დამატებით სანახაობას ქმნის.



მდ. ლუნჯი, ლუნჯის ჩანჩქერი

მდ. ლუნჯი 20 კმ-მდე სიგრძის, ხობისწყლის ყველაზე წყალუხვი შენაკადია, რომელიც სათავეს ეგრისის ქედიდან იღებს. გამორჩეულია ასევე ლუნჯის ჩანჩქერი თავისი მახასიათებლებით. ძირითადი ჩანჩქერი სამანქანო გზის დაბლა ვითარდება რომლის ვარდნის სიმაღლე 50 მეტრს, ხოლო სიგანე 30მ -ს აღწევს. ჩანჩქერის გადაღება მხოლოდ მდ. ხობისწყლის მარცხენა სანაპიროდანაა შესაძლებელი, თუმცა არანაკლებ სანახაობრივია კასკადი ჩანჩქერებისა, რომელიც სამანქანო გზიდან მოსჩანს. ჩანჩქერი სამხრეთ-აღმოსავლეთ ექსპოზიციაზე ზღვის დონიდან 618 მეტრ სიმაღლეზე ვითარდება. არანაკლებ საინტერესოა ასევე ჩანჩქერთან ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობზე მოზარდი კოლხური ყოჩივარდას პოპულაცია, რომელიც ადგილობრივი ფლორის ენდემია და აგვისტოში იწყებს ყვავილობას. მცენარე ჩანჩქერთან ერთად დამატებით საინტერესო სანახაობრივ კომპლექსს ქმნის.

დეიძახის ლოდი და „ვეშაპის ქანდაკება“

დეიძახის ლოდი დიდი ზომის 16 მ გარშემოწერილობისა და 5 მ სიმაღლის ბაიოსური ასაკის ვულკანოგენური წვრილმარცვლოვანი ტუფქვიშაქვაა, რომელიც კირქვების გავრცელების ზოლში დაახლოებით 4-5 კილომეტრის სიშორიდან მოხვდა. მსგავსი ქანები მხოლოდ მდინარის სათავის მიმართულებით ლოდის ამჟამინდელი მდებარეობიდან დაახლოებით 4.5 – 5 კილომეტრის მოშორებით იწყება, რაც თავისთავად ნატურალისტებისა და მკვლევარების, ასევე ვიზიტორების დიდ ინტერესს იწვევს (ერატიკული ლოდები).

„ვეშაპის“ ქანდაკება (მეგალითური ლოდი) დეიძახის ლოდის მიმდებარედ ოდნავ მომცრო ზომებითაა წარმოდგენილი, ლოდი ნაწილობრივ ჩამარხულია მიწაში და ადამიანური ზემოქმედების კვალი ეტყობა, კონკრეტულად ვეშაპის მსგავსადაა ფორმირებული, როგორც საკულტო ქანდაკება - გველეშაპი რომელიც თევზს იცავს. მდინარის პირას სათევზაო ადგილია, სადაც გადმოცემის მიხედვით დიდი რაოდენობით თევზს იჭერდნენ, სწორედ მის დაცვას უნდა ემსახურებოდეს ამ ლოდისგან გამოთლილი ქანდაკება. ეს ერატიკული ანუ მოხეტიალე ლოდები შურუბუმუს მღვიმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობენ და შურუბუმუს მღვიმესა და დეიძახის ვოკლუზთან ერთად ქმნიან დამატებით საინტერესო, შემეცნებით სანახაობას, როგორც მკვლევარების ასევე უბრალო ვიზიტორთათვისაც.

დამატებით უნდა აღინიშნოს რომ, გადმოცემის მიხედვით აქ იყო მოწყობილი თევზსაჭერი, სადაც იმდენად დიდი რაოდენობით თევზს იჭერდნენ, რომ საკმარისი იყო როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე საჩუქრად უგზავნიდნენ სოფლიდან გათხოვილ ქალიშვილებსაც და ამას მასობრივი, ტრადიციული სახე ჰქონდა ყოველწლიურად.



შიშველი კარსტი³ (კარსტის გამიშვლება)

შიშველი კარსტი - ზოგადად და განსაკუთრებით მიგარიას მასივზე (მდ. ხობისწყლის მარჯვენა მხარეს კირქული მასივი) შეზღუდული გავრცელებით ხასიათდება და მოიცავს ბუნებრივ გამიშვლებებს - მდინარეთა კალაპოტებს, ხეობების ფერდობებს. უახლოესი და სანახაობრივად შთამბეჭდავი ტიპური კარსტის გამიშვლება გვხვდება სოფელ მუხურშივე (ქოყოს დასაწყისში - ადგილი ხიდიდან მარჯვნივ), ხიდიდან ჩრდილოეთით, მდ. ხობისწყლის კალაპოტში. ადგილი შთამბეჭდავია სანახაობრივად.



3. რელიეფის თავისებური ფორმები იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი შედგება მსხვილმარცვლოვანი ხსნადი ქანებისაგან (კირქვების, თაბაშირების, ქვამარილისა და მისთანათაგან); როგორიცაა გამოქვაბულები და სხვ.

ადგილობრივი ფლორა

ამ თავში თავმოყრილია ინფორმაცია ზოგადად სამეგრელოს რეგიონის და განსაკუთრებით ჩხორონყუს მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი მცენარეული საფარის შესახებ.

სამეგრელოს რეგიონის ფლორის ზოგადი დახასიათება

სამეგრელოს ფლორისტული რაიონი ვაკე-დაბლობიანი, საშუალო და მაღალმთიანია. ვერტიკალური სარტყლიანობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- სუბნივადუხი სახეცედი (2400-3500 მ.ზ.დ.)
- ადპუხი სახეცედი (2100-2400 მ.ზ.დ.)
- მაღალმთის სუბადპუხი სახეცედი (1750-2100 მ.ზ.დ.)
- მთის ზედა სახეცედი (1250-1750 მ.ზ.დ.)
- მთის შუა სახეცედი (600-1250 მ.ზ.დ.)
- მთის ქვედა სახეცედი (250-600 მ.ზ.დ.)
- დაბლობის (მცენარეულობის) სახეცედი (0-250 მ.ზ.დ.)

შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს ფლორისტულ რაიონში ზოგან სუსტადაა გამოხატული ალპური სარტყელი, ხოლო სუბნივალური სარტყელი მხოლოდ მდ. მაგანას და მდ. ხობისწყლის სათავეებშია წარმოდგენილი.

სამეგრელოს მთის ტყეების რაიონისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა შერეულფოთლვანი ტყით იწყება.







შერეულფოთლოვანი ტყე

ძირითადად დაბლობებსა და მთისწინებზე 250-600 მ.ზ.დ სიმაღლეების ფარგლებში გვხვდება. ძირითადი ფორმაციებია: მურყნარები, ჯაგრცილნარ-მუხნარები, ჯაგრცილნარები, რცილნარები, წაბლნარები და წიფლნარები. შერეულფოთლოვანი ტყეები სახეობრივი მრავალფეროვნებით ხასაითდება, მათი უმეტესობა რელიქტურია. მერქნიანი მცენარეებიდან გვხვდება: მურყანი (*Alnus barbata*), ნეკერჩხლები (*Acer campestre*, *A. laetum*), თელა (*Ulmus glarba*), წიფელი (*Fagus orientalis*), რცილა (*Carpinus caucasica*), ჯაგრცილა (*Carpinus orientalis*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), ცაცხვი (*Tilia begoniifolia*), პანტა (*Pyrus caucasica*), მაჟალო (*Malus orientalis*), ხურმა (*Diospyros lotos*), ლელვი (*Ficus carica*) და სხვა. მარადმწვანე კოლხური ქვეტყის შემქმნელი ბუჩქებიდან გვხვდება: ბზა (*Buxus colchica*), შქერი (*Rhododendron ponticum*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), ბადგი (*Ilex colchica*), ძმერხლი (*Ruscus colchica*), იშვიათად უთხოვარი (*Taxus baccata*), ფოთლოვნიდან თხილი (*Corylus avellana*), იმერული ხეჭრელი (*Rhamnus imeretina*), კოლხური ჯონოჯოლი (*Staphylea colchica*) და სხვა. ბუჩქნარები გაუვალ რაყებს (მცენარეთა ერთობლიობას) ქმნის, სინათლე ვერ აღწევს სათანადოდ ამიტომ ბალახოვანი საფარის აღმოცენება აქ შეუძლებელია, თუმცა ეს კომპლექსი მდიდარია გვიმრებით (მცენარეთა ერთერთი კლასი), მათ შორის ჰიმენოფილუმი (*Hymenophyllum tunbrigense*).

წიფლნარ-მუქნიწვოვანი ტყე

წიფლნარ-მუქნიწვოვანი ტყის სარტყელი ძირითადად მოიცავს სხვადასხვა ტიპის ფორმაციებს, იწყება წიფლნარების სხავდასხვა ასოციაციებით: წიფლნარ-რცილნარი, წიფლნარ-ცაცხვნარი, წიფლნარ-მუხნარი, წიფლნარი-მუქნიწვოვნებით, წიფლნარ-წყავიანი, წიფლნარ-შქერიანი, წიფლნარ-ჟყორიანი, წიფლნარ-მოცვიანი, წიფლნარ-თაგვისარიანი, წიფლნარი-იელნარით, წიფლნარ-ძახველიანი, წიფლნარ-ძმერხლიანი, წიფლნარი-ფოთოლმცვივანი ნარევი ბუჩქნარით, წიფლნარი გვიმრებით, წიფლნარი მარცვლოვნებით, წიფლნარი ნაირბალახოვნებით. რაც შეეხებათ მუქნიწვოვან ტყეთა ასოციაციებს ისინი ნაძვითა (*Picea orientalis*) და სოჭით (*Abies nordmanniana*) არის წარმოდგენილი და წიფლებთან (*Fagus orientalis*) ერთად ქმნიან შერეული ტყის ფორმაციებს.



ფართოფთლოვანი ტყის სარტყელი

განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობს მცენარეთა თანასაზოგადოებების ჩამოყალიბებაში, აქ ძირითადად გაბატონებულია ისევ წიფელი (*Fagus orientalis*), წაბლი (*Castanea sativa*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), იმერული მუხა (*Quercus imeretina*), მალალმთის ბოყვი (*Acer trautvetteri*) ცაცხვი (*Tilia begonifolia*) და სხვა. მარადმწვანე ქვეტყეს ქმნის შქერი (*Rhododendron ponticum*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), ჭყორი (*Ilex colchica*), ძმერხლი (*Ruscus colchica*). ფოთლმცვივანი ბუჩქებიდან აღსანიშნავია კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostafylos*), ჭონჭოლი (*Staphylea colchica*), უცვეთელა (*Phyladelphus caucasicus*) და სხვა. ამ ტიპის ტყეებისათვის დამახასიათებელია უხვი ლიანები/ხვიარები შემდეგი სახეობებით: ეკალიძჭვი (*Smilax excelsa*), სურო (*Hedera colchica*, *H. caucasigena*), ღვედკეცი (*Periploca graeca*), ძაღლის სატაცური (*Tamus communis*) და სხვა.



სუბალპური მცენარეულობა

ფრიად ორიგინალურია და მცენარეთა მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ გვხვდება სუბალპური ტყე-მდელოს, ბუჩქნარისა და მალალბალახეულობის კომპლექსები. ძირითადი შემქმნელი სახეობებია თანბრეცილი წიფლები (*Fagus orientalis*), მალალმთის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*), ცირცელი (*Sorbus caucasigena*) იმერული ხეჭრელი (*Rhamnus imeretina*), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), მაჯღვერი (*Daphne glomerata*, *D. Alboviana*, *D. pseudosericea*), ღვია (*Juniperus hemisphaerica*), მდგნალი (*Salix caprea*, *S. kazbekensis*), მოცხარი (*Ribes alpinum*, *R. biebersteinii*) და სხვა. კოლხური სახეობებით მდიდარია მალალბალახეულობა: მზიურა (*Inula magnifica*), დიყი (*Heracleum ponticum*, *H. egrissicum*), აღმოსავლური ტილჭირი (*Aconitum orientale*, *A. nasutum*), თავყვითელა (*Senecio rhombifolius*, *S. colenatianus*), დეზურა (*Delphinium pyramidatum*), ფუტკარა (*Digitalis ciliata*), იორდასალამი (*Paeonia macrophylla*), მაჩიტა (*Campanula latifolia*, *C. megrelica*), დიდი გვირილა (*Pyretrum macrophyllum*), ვორონოვია (*Woronowia speciosa*), ვარსკვლავა (*Astrantia colchica*), ბაია (*Ranunculus grossheimii*), უმბილიკუსი (*Umbilicus oppoaitifolius*) და სხვა. ალპური მცენარეულობა სამეგრელოში ზოგან ვიწრო ზოლად გვხვდება და სუბალპური სარტყლიდან შემოჭრილ მალალბალახეულობის წარმომადგენლებთან და გაშლილი ბუჩქნარების ფრაგმენტებთან ერთად ქმნის სხვადასხვა ტიპის თანასაზოგადოებებს. ალპური სარტყლის ზედა ნაწილში გაბატონებულია მკვრივკორდიანი მდელოები, ალპური ხალები, კლდენაშალისა და ღორღიანების მცენარეულობა.



ალპური მცენარეულობა

ძირითად ნაწილს ალპური მდელოები ქმნიან, რომელთა ძირითადი ჯგუფებია: მარცვლოვნიანი მდელოები, ნაირბალახოვანი მდელოები, ნაირბალახოვან-მარცვლოვნიანი მდელოები, ნაირბალახოვან-მარცვლოვან-პარკოსანი მდელოები. ამ თანასაზოგადოებათა შექმნაში მონაწილე სახეობებია ნაირბალახებიდან: ფრინტა (*Anemone fasciculata*), მთის ბარისპირა (*Betonica grandiflora*), მზიურა (*Inula grandiflora*), ვარსკვლავა (*Astrantia maxima*), წყალიკრეფია (*Aquilegia caucasica*), დვალურა (*Polygonum carneum*), მედგარა (*Pulsatilla violacea*), ნემსინვერები (*Geranium gymnocaulon*, *G. silvaticum*) და სხვა. მარცვლოვნიებიდან: ძიგვა (*Nardus glaberrimis*), წივანები (*Festuca supina*, *F. Ruprechtii*, *F.*

Djamilensis, *F. varia*), მელაკუდა (*Alopecurus sericeus*), ნამიკრეფია (*Agrostis planifolia*), შვრიელა (*Zerna variegata*), ცახცახა (*Briza australis*), ისლის სახეობები (*Carex meinshauseniana*, *C. tristis*, *C. pontica*) და სხვა. პარკოსნებიდან: სამყურები (*Trifolium canescens*, *T. Pretense*, *T. polyfylum*), კავკასიური კურდღლისფრჩხილა (*Lotus caucasica*), კავკასიური კრიალოსანა (*Hedysarum caucasicum*) და სხვა.

ზოგადად სამეგრელოს ფლორისტული რაიონი გამორჩეულია თავისი უნიკალურობით, რაც მის ფიტოგეოგრაფიულ (მცენარეთა გეოგრაფია) მრავალფეროვნებაში გამოიხატება, დღეისათვის სამეგრელოს ფლორიდან აღწერილია 1190-მცენარე, ამათგან 175 ენდემური სახეობაა, უფრო კონკრეტულად კი 125 კავკასიის ხოლო 50-მდე სახეობა საქართველოს ენდემია.

სოფელ მუხურის მიდამოების დენდროფლორა

სოფელ მუხურიდან სამეგრელოს ფლორისათვის დამახასიათებელი მთის ტყეების საზღვარი იწყება და მოიცავს ხობისწყლის აუზს თავისი შენაკადებით. ხეობა ვიწრო და ღრმაა, დამახასიათებელი ჰაერის მაღალი ტენიანობით, შესაბამისად ადგილობრივი დენდროფლორაც სიმალღებრივი გავრცელების მაღალი ამპლიტუდით ხასიათდება (ხშირად ხეობის ფსკერი ზღვის დონიდან 300 მეტრამდეა ხოლო ხეობის ერთეული ფერდობის აბსოლუტური სიმალღე 1000 მეტრსაც აღემატება). ტყისათვის დამახასიათებელია რელიქტური (ძველი ეპოქებიდან მოყოლებული) მარადმწვანე ქვეტყე. რაც შეეხება უშუალოდ მცენარეულ საფარს საკმაოდ მრავალფეროვანი სახეობრივი შემადგენლობით გამოირჩევა და მხოლოდ მცირედი განსხვავებებით ხასიათდებიან სხვადასხვა ვერტიკალური სარტყლის მიხედვით. უშუალოდ ხობისწყლის ხეობაში შესაძლებელია შემდეგი მცენარეების ნახვა:

კოლხური ყოჩივარდა (*Cyclamen colchicum*)

ფურისულასებრთა ოჯახის ენდემური სახეობის მცენარე, ყვავილობს აგვისტოს თვეში. გვხვდება ლუნჯის ჩანჩქერის ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობზე. ყოჩივარდას მიწაში უვითარდება გორგალი (მცენარის სახეცვლილი - გამსხვილებული ღერო), რომელშიც მასაზრდოებელი ნივთიერებებია თავმოყრილი. ძირიდან ამოსულია მოკლე ღერო, რომელიც მიწაშივეა ჩამალული. მიწისზედა ღერო ყოჩივარდას არ აქვს. მიწისქვეშა ღეროზე რამდენიმე გრძლყუნწიანი ფოთოლი ზის. ფოთლები ზემოდან მწვანეა, ქვემოდან კი ჭარხლისფერი. ყვავილი მუქი ვარდისფერია და ოდნავ იისფერიც დაკრავს. მისი გვირგვინის ხუთივე ფურცელი უკანაა მოხდენილად გადაღუნული და ძირში მუქი ხალით შემკული. ნაყოფი მომრგვალოა მომწიფებისას იხსნება და თესლი გარეთ ცვივა. ყოჩივარდა მრავლდება თესლით.



ბზა (*Buxus colchica*)

ბზისებრთა ოჯახიდან, თაფლოვანი მცენარე. წითელი ნუსხის რელიქტური მცენარე, ჩვენს ტყეებში, დასავლეთ საქართველოში და კონკრეტულად სოფელ მუხურში, ხობისწყლის ხეობაში მრავლად გვხვდება როგორც გამხმარი ინდივიდების ასევე ახალდმონაცენების სახით. ბზა ხშირად გვხვდება წიფლნარში ან შერეულ ტყეში ქვეტყის სახით. ხარობს ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლემდე. ბზა ბუჩქად ან 7-8 მ სიმაღლის ხედ იზრდება. სწორი ღერო აქვს, უხვად დატოტვილი. მარადმწვანეა. ფოთოლი მოკლევუნწიანია, კიდემთლიანი (როდესაც ფოთლის კიდეები მთლიანია), ზედა მხრიდან მუქი მწვანე და პრილა, ქვედა მხრიდან ღია მწვანე და მქრქალი (მკრთალი, ფერნაკლული, ბზინვარებას მოკლებული). ყვავილი მოყვითალო ფერისაა, ფოთლის უბეებში შეკრებილი. ნაყოფი კოლოფია (ნაყოფის ტიპი).



ურთხელი (ურთხოვარი) (*Taxus baccata*)

ურთხლისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. რელიქტური, წითელი ნუსხის, ძვირფასმერქნიანი სახეობა, ხობისწყლის ხეობაში გვხვდება მეტწილად წიფლნარსა და რცხილნარში, განსაკუთრებით მდინარის ნაპირებთან და ტყის სიღრმეებში მოზარდის სახით. დიდხანს ცოცხლობს, დაახლოებით ექვსას-რვაას წელს. მეცნიერები ვარაუდობენ რომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით მეტიც შეიძლება იყოს, ორ-სამ ათას წლამდეც კი, თუმცა ამ სიძველის ხის ასაკის განსაზღვრა მეტად რთულია. იზრდება ხის, ზოგჯერ ბუჩქის სახით, სიმაღლე არ აღემატება 15-26 მ-ს, სიგანე ზოგჯერ მეტრზე მეტია. მარადმწვანეა. წიწვის სიგრძით 3-4-სმ-ია, ხაზური, ზოგჯერ ნამგალივით მოღუნული, წვეტიანი, ზემოდან მუქი მწვანეა, ქვედა მხრიდან უფრო მკრთალი, კიდეები ოდნავ გადაღუნული. მდედრობითი გირჩი ურთხელს არ აქვს, თესლი ტოტზე ზის და თანათესლითაა (მცენარის ნაყოფის შემადგენელი ნაწილი) დაფარული. მომწიფებისას თანათესლი მოწითალო ან მარჯნისფერი ხდება.


პონტური შქერი (*Rhododendron ponticum*)

მანანასებრთა ოჯახს ეკუთვნის. რელიქტური, მარადმწვანე ქვეტყის შემქმნელი სახეობა. კოლხეთის ტყეებისათვის მეტად დამახასიათებელია, გავრცელებულია ქვეტყის სახით წიფლნარში, მთაში ზღვის დონიდან 1800 მ-მდე გვხვდება. მიუყვება ხობისწყლის ხეობას და ხასიათდება განსაკუთრებით ხშირი შეხვედრილობით. შქერი ბუჩქის სახით გვხვდება, ღეროები 1-3 მ-ია. ზოგჯერ ხის სახითაც იზრდება და 6-7 მ-ს აღწევს. მარადმწვანეა. ფოთოლი კიდემთლიანია - კიდეები ოდნავ გადაღუნული აქვს, ტყავისებრია, ზედა მხარე - მუქი, ქვედა კი ღია მწვანეა. ზომით 9-27 სმ სიგრძისაა და 4-7 სმ სიგანისაა, ბოლო წაწვეტილი. შქერი ყვავილობს მაისში და თუ თბილი ამინდი დაიჭირა, მეორედაც ყვავის ოქტომბერში. დიდი ზომის ვარდიფერი, მოიისფრო - მენამული (ძირითადად წითელი ფერი) ყვავილი აქვს. ყვავილედ იქოლგაა, ნაყოფი კოლოფია.



წყავი (*Prunus laurocerassus*)

წყავი ვარდისებრთა ოჯახის თაფლოვანი მცენარეა, მარადმწვანე ქვეტყის შემქმნელი სახეობა, გვხვდება მთელს ხეობაში ქვედა და შუა სართულის ტყეებში, ძირითადად წიფლნარში. იზრდება ბუჩქის და ზოგჯერ 7-8 მ-მდე სიმაღლის ხის სახით. მოვარდისფრო მერქანი აქვს. ფოთოლი მოკლევუნნია, ტყავისებრი, კიდეხერხებილა (ფოთლის კიდეები ხერხის კბილების მსგავსი აგებულების) ან კიდეშთლიანი. მუქი მწვანე, ზედა მხარე პრიალა, ქვედა უფრო ღია ფერისა და მქრქალი. ყვავილობს აპრილში და მაისში. თეთრი ყვავილები მტევნადაა შეკრებილი. ნაყოფი მუქი ლურჯი კურკიანაა.



წაბლი (*Castanea sativa*)

წიფლისებრთა ოჯახიდან, თაფლოვანი, წითელი ნუსხის, ძვირფასმერქნიანი (გამოიყენება მრეწველობაში აქტიურად და ძვირადღირებულია) მცენარე. გავრცელებულია ხობისწყლის ხეობაში მასიურად, მეტწილად წიფლნარსა და რცხილნარში. ოპტიმალურ პირობებში 35 მ-მდე იზრდება, სიგანე 1,5-2 მ-ს აღწევს და ხუთას წლამდე ცოცხლობს. ფოთოლი 12-15 სმ სიგრძისაა, ხერხისებრ დაკბილული და წაწვეტილი. ყვავილები თეთრი ან მოყვითალოა, თავთავად იკრიბება და ზემოთაა აშვერილი. ნაყოფი ზის მომრგვალო ბუდეში, რომლებიც წვრილი ეკლებითაა მოფენილი, ყავისფერია, და მწიფდება ოქტომბერში.

კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica*)

არყისებრთა ოჯახს ეკუთვნის. გვხვდება მთელ ხეობაში, დაწყებული დაბლობებიდან, მთის ზედა კალთამდე, რცხილა ნიადაგისადმი ნაკლებ მომთხოვნია. ცოცხლობს ორასი-სამასი წელი. იზრდება დაახლოებით 35 მ. სიმაღლის ხედ, ტანი მეტწილად მრუდე აქვს, ოდნავ კუთხოვანი. ქერქი ნაცრისფერია, გლუვი, ალაგ-ალაგ დახეთქილი. ფოთოლი მოკლევუნნიანია, წაწვეტილი, 5-12 სმ სიგრძის. ორმაგ ხერხკბილაა. ფოთოლი და ყვავილი ერთდროულად იშლება. ყვავილი მომწვანო-მოწითალო ფერისაა. ყვავილები მჭადაა (ყვავილის ტიპი). ნაყოფი კაკლუჭია (ნაყოფის ტიპი), სიგრძეზე წიბოებიანი, ცალი მხრიდან შემოხვეული აქვს თხელი, სამნაკვთიანი საბურველი (ყვავილოვანი საფარი), შუა ნაკვთი დანარჩენ ნაკვთებზე გრძელია, და ზაფხულში მნიფდება.



ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana*)

არყისებრთა ოჯახიდანაა, გვხვდება მთელ ხეობაში. თხილი ველურად მუხნარსა და რცხილნარში ან შერეულ ფოთლოვან ტყეში იზრდება, სადაც ქვეტყეს ქმნის. მოზრდილი ბუჩქია, 2-4 მ სიმაღლის, 7-8 მ სიმაღლის სახითაც გვხვდება. ფოთოლი დიდი ზომისაა, წაწვეტილი, კიდეები უთანაბროდ ორმაგ-ხერხისებრ დაკბილული. ძალიან ადრე ყვავილობს - იანვარში და თებერვალში. მტვრიანებიან მჭადა (ყვავილის ტიპი) ყვავილედააა შეკრებილი. ბუტკოიანი (ყვავილის ცენტრალური ნაწილი) ყვავილები კვირტშია ჩამალული და გარეთ მხოლოდ დინგებია (ყვავილის ცენტრის ზედა გაფართოებული ნაწილი) გამოყოფილი. ყვავილის ირგვლივ ვითარდება სამ-სამი ურთიერთმზერდილი თანაყვავილენი, რომელიც ნაყოფის მომწიფებისას ნაყოფსაფარს ქმნის. ნაყოფი კაკალია, რომელიც მკრთალ ბუდეში ზის. ნაჭუჭი ყავისფერია - მიხაკისფერი, და მნიფდება აგვისტო-სექტემბერში.

მურყანი (თხმელა) (*Alnus barbata*)

არყისებრთა ოჯახს ეკუთვნის, გვხვდება მთელს ხეობაში უმეტესად მდინარის ნაპირებზე, ჭალაში ხარობს. სინათლის და ტენის პირობებში სწრაფად იზრდება, ცოცხლობს ორას წლამდე. მაღალი ხეა, 30-38 მ-მდე იზრდება, ქერქი მოშავო ან მუქი ფერისაა, დახეტილი. ფოთოლი ფართოა, ოდნავ წებოვანი, შიშველი, მხოლოდ ძარღვების კუთხეებშია ბეწვიანი, კიდეები ორმაგ-დაკბილულია. ყვავილი მომწვანოა, ადრე გაზაფხულზე იშლება, ნაყოფი პატარა ზომისაა, ვიწრო ფრთით შემოვლებული, მწვანეა, სიმწიფეში მოშავო ფერს იძენს.



ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*)

ლაფანი კაკლისებრთა ოჯახის, რელიქტური, წითელი ნუსხის, ძვირფასმერქნიანი მცენარეა, ხობისწყლის ხეობაში გვხვდება ერთეულად, ზ.დ.დ. 350 მეტრ სიმაღლემდე. საკმარისი ტენის პირობებში სწრაფად იზრდება და აღწევს სიმაღლეში 30 მ-ს, სიგანეში კი - 1,5 მ-ს. ცოცხლობს ორას წლამდე. ფოთოლი რთულია, შედგება ცხრიდან ოცდახუთამდე ფოთოლაკისგან. ფოთოლაკები მჯდომარეა ან ძალიან მოკლეყუნწიანი, წაწვეტილი, ხერხკბილა. პატარა მომწვანო ყვავილები გრძელ, თავდაკიდულ მჭადა ყვავილედააა შეკრებილი. ნაყოფი პატარა ზომისაა, ორფრთიანი, გრძლადაა ხეზე აკუნწული და მომწიფებისას მთლიანად ცვივა. ყვავილობს ადრე გაზაფხულზე მარტსა და აპრილში.

კაკასიური ცაცხვი (*Tilia begonifolia*)

ცაცხვი ეკუთვნის ცაცხვისებრთა ოჯახს. თაფლოვანი მცენარე, გვხვდება მთელს ხეობაში მეტწილად წიფლნარსა და რცხილნარში. მაღალი ხეა, 40 მ-საც აღწევს სიმაღლეში და 2 მ-ს სიგანეში. უმეტესად 20-25 მ სიმაღლისაა და 1 მ სიგანის. ცოცხლობს ოთხასი-ექვსასი წელი. ფოთლები ასიმეტრიულია, წაწვეტილი, ხერხებილა. ყვავილობს ივნისში. ყვავილი ყვითელი ფერისაა, ორმაგი ყვავილსაფრით, ჯგუფებად შეკრებილი. ნაყოფი ოთხ-ხუთ წიბოიანი მომრგვალო ან ოვალური კაკალია, და მწიფდება აგვისტოში და სექტემბერში.



იფანი (*Fraxinus excelsior*)

იფანი ზეთისხილისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იფანი გავრცელებულია ხობისწყლის მთელს ტყიან ხეობაში 800 მ სიმაღლემდე. ვრცელ ტყეს არ ქმნის, არამედ გვხვდება სხვა ფოთლოვან ხეებთან შერეული, უფრო ხშირად თელასთან და რცხილასთან, დაბლობში კი - მურყანთან. ვაკე ადგილებში გვხვდება ხოლმე პატარა ჯგუფის სახით, კარგად იტანს ტენსაც და სიმშრალესაც. იფანს აქვს მოპირდაპირედ განლაგებული შავი კვირტები. ფოთოლი რთულია და ხუთიდან ცამეტამდე ფოთოლაკისგან შედგება. ფოთოლაკი მჯდომარე ან მოკლეყუნნიანია, ზედა მხრიდან მუქი, ქვედა მხრიდან კი - მკრთალი მწვანე, ძარღვების გაყოლებზე - მოკლებენვიანი, ხერხ კბილა. ყვავილობს ფოთლის განვითარებამდე, მარტ-აპრილში, ყვავილი პატარა ზომისაა, ჯამი და გვირგვინის ფურცლები არ აქვს, ჯგუფადაა შეკრებილი. ზოგი ყვავილი მხოლოდ ორი მტვრიანასგან შედგება, ბუტკო (ყვავილის მდებრობითი სასქესო ორგანო) კი განუვითარებელია. ნაყოფი ერთთესლიანი, მოყვითალო ფრთიანაა, და მწიფდება ივნისში ან ივლისში.


კვიდო (*Ligustrum vulgare*)

კვიდო ზეთისხილისებრთა ოჯახიდანაა. მთელ ხეობაში გვხვდება ზღვის დონიდან 1200 მ-მდე. ხარობს ტყისპირებში და ბუჩქნარში. ბუჩქია, სიმაღლით 1-3 მ. შემოდგომით, ზოგჯერ კი ზამთრის დამლევამდეც, ფოთოლი რჩება ბუჩქზე და შემდეგ ყველა ერთდროულად ცვივა. ყვავილები თეთრია, მოკლე კენწრულ საგველად შეკრებილი, ძაბრისებრი მოყვანილობის. ნაყოფი კურკიანაა, მომრგვალო, შავი, მთელი ზამთრის განმავლობაში ბუჩქზე რჩება. ნაყოფი ძალიან კარგი საკვებია ფრინველებისათვის.



დახველი (*Viburnum opulus*)

დახველი ეკუთვნის ცხრატყავასებრთა ოჯახს. გვხვდება მთელს ხეობაში მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეში, ტყისპირას და ბუჩქნარში. იზრდება 3-4- მ სიმაღლის ბუჩქის ან დაბალი ხის სახით. ფოთოლი სამნაკვეთიანია, შიშველი ან ქვედა მხრიდან ოდნავ შებუსვილი, კიდე უთანაბროდაა დაკბილული. ყვავილი თეთრია, ყვავილედნი - ქოლგა. განაპირა ყვავილები უფრო დიდი ზომისაა. ნაყოფი ოვალურია ან ბურთივით მრგვალი. ზაფხულის მიწურულს, აგვისტოს თვიდან სიმწიფეში ნითლდება.



ქორაფი (*Acer cappadocicum*)

ქორაფი ნეკერჩხლისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. გვხვდება მთელ ხეობაში მუხნარში, რცხილნარში, წიფლნარში და ფიჭვნარში, შედარებით მაღალი ტენიანობის, გრილ ადგილებში. სხვა ნეკერჩხლებთან შედარებით მაღალია, 25 მ-მდე იზრდება. ღერო ღია ფერის ქერქითაა დაფარული. ფოთოლს ხუთი-შვიდი ნაკვეთი აქვს. ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვედა მხარე შედარებით ღია ფერისაა, ძარღვის კუთხეებში ალაგ-ალაგ შებუსვილი. ქორაფი ყვავილობს მაისში, მომწვანო, პატარა ზომის ყვავილი აქვს, მცირე ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი 3 - 3,5 სმ სიგრძის ფრთიანი კაკალია, მწიფდება აგვისტოსა და სექტემბერში.



ზღმარტლი (*Mespilus germanica*)

ზღმარტლი ვარდისებრთა ოჯახს ეკუთვნის. ერთეულ ეგზემპლარებად გვხვდება მთელს ხეობაში ტყესა და ბუჩქნარში, აგრეთვე მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეში. 2-3 მ სიმაღლის ბუჩქია, თუმცა ზოგჯერ 5 მ-მდე ხის სახითაც გვხვდება. ახალგაზრდა ყლორტი ეკლიანია, ფოთოლი მწვანე, კიდე მთლიანი. ყვავის მაისში, დიდი ზომის თეთრი ყვავილი აქვს. ნაყოფი მსხლისებრი ან სფერულია, შიშველი, დასაწყისში ჟანგისფერი-მომწვანო, სიმწიფეში კი მოყვითალო-მურა ფერის.

ბალამნარა (*Cerasus silvestris*)

ვარდისებრთა ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელი - ბალამნარა. ერთეულ ეგზემპლარებად გვხვდება მთელს ხეობაში, არის თაფლოვანი მცენარე, 25-35 მ სიმაღლის ხეა, ზრო მოშავო ფერისაა, დახეტილი ქერქით დაფარული. ფოთოლი მწვანეა, ორივე მხრიდან შიშველი, ხერხისებრ დაკბილული. ყვავის აპრილში და მაისში, ყვავილი თეთრია, ყვავილეთი - ქოლგა. ნაყოფი სფეროს ფორმისაა, შავი, მუქი წითელი ან იშვიათად ყვითელი ფერის. იგი ივნისში მწიფდება.



ძმერხლი (*Ruscus colchicus*)

შროშანისებრთა ოჯახის წარმომადგენელი. ენდემური მცენარე, თვალშისაცემი ღეროს სახეცვლილებით (ფოთოლი არ აქვს და სახეცვლილი ღერო გავს ფოთოლს), მთელს ხეობაში გვხვდება დაჩრდილულ ტენიან ადგილებში პატარა ბუჩქების სახით. სიმაღლეში 35-55 სმ-ს აღწევს. ტოტები ბრტყელი აქვს. სიგრძეში 5-10 სმ-ს აღწევს, სიგანეში – 2-4 სმ-ს. ტყავისებრია, რკალ ძარღვიანი. ღერო მწვანეა და სწორ-მდგომი. მარადმწვანეა. ფოთლები დაკნინებულია და ტოტების ძირშია განლაგებული ქერქლის სახით. ყვავილები მომწვანო-მოთეთრო ფერისაა, განლაგებულია ჯგუფად ტოტის ქვედა მხარეს, მთავარი ძარღვის შუა ადგილას ან ოდნავ ზემოთ. ყვავილობს გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ნაყოფი მრგვალია, წითელი ფერის, და მწიფდება ზაფხულის მიწურულიდან.

კოლხური სურო (*Hedera colchica*)

სუროსებრთა ოჯახის წარმომადგენელია. მცოცავი, ხვიარა მცენარე, გვხვდება მთელს ხეობაში, ხეებზე ძალიან მაღლა აცოცდება ხოლმე და დამატებითი ფესვებით ემაგრება, თუმცა გვხვდება მიწაზე გართხმულიც. ლიანა (მცოცავი) მცენარეა, მარადმწვანე. ფოთოლი 10-15 სმ სიგრძისაა და 6-12 სმ სიგანის, ტყავისებრი, ზედა მხრიდან მოყვითალო ქერქლოვანი ბუნვით მოფენილი. ფოთოლი მწვანეა, მაგრამ შემოდგომის დამლევს და ზამთარში სიცივისგან მოწითალო და იისფერ – მოწითალო ელფერს იძენს. ყვავილობს სექტემბერ - ოქტომბერში. ყვავილები პატარა ზომისაა, მომწვანო-წითელი, სფეროსებრ ქოლგად შეკრებილი. ჩვეულებრივ, ასეთი ქოლგა რამდენიმე (სამიდან რვამდე) და მტევნად თავმოყრილი. ნაყოფი შავია, 5-10 მმ ზომის.

ეკალიფჯი (*Smilax excelsa*)

შროშანისებრთა ოჯახს ეკუთვნის. გვხვდება მთელს ხეობაში, ლიანაა და ძალიან მაღლა ადის ხეებზე, განსაკუთრებით ქალის ტყეში, ღეროები გრძელია, მცოცავი, მცირეოდენ ნახნაგოვანი, ძალიან მაგარი, ეკლებით მოფენილი. მარადმწვანეა. ფოთოლი კიდე მთლიანია, რკალ ძარღვიანი, წანვეტილი. ყუნწის ახლოს ორი ულვაში ზის, რომლებითაც ეკალიფჯი საყრდენს ემაგრება. ფოთოლი მწვანეა, მაგრამ ზამთარში მღვრიე წითელ ფერს იძენს. ყვავილები მომწვანო ან თეთრი ფერისაა. 4-10 ყვავილი შეკრებილია ილღიურ ფორმად. მრგვალი წითელი ფერის კენკრა ნაყოფი აქვს. ყვავილობს გაზაფხულზე.



ჩიტავაშლა (*Pyracantha coccinea*)

ვარდისებრთა ოჯახს ეკუთვნის. თაფლოვანი მცენარეა და გვხვდება მთელ ხეობაში. სინათლის მოყვარულია და ხარობს რიყიანებში, მდინარის გასწვრივ სილნარში, ტყის პირებში, მეჩხერ ტყეში. 1-2 მ-ის სიმაღლის ბუჩქია. ოპტიმალურ პირობებში შესაძლებელია 3 მეტრსაც მიაღწიოს. ღეროები დაგრეხილია. მარადმწვანეა. ფოთოლი ზამთრის განმავლობაშიც ნარჩუნდება და ცვივა აპრილში ახალი ფოთლის გამოტანისას. ფოთოლი კიდე მთლიანია, ტყავისებრი, ზედა მხრიდან მუქი მწვანე და პრიალა, ქვედა მხრიდან მკრთალი. ჩიტავაშლა ყვავის მაის-ივნისში. დიდი რაოდენობით პატარა თეთრი ყვავილები აქვს, ქოლგად შეკრებილი. ნაყოფი წითელი, ნარიჩხისფერი ან მარჯნისფერია.



კოლხური ბაძგი/ჭყორი (*Ilex colchica*)

ეკუთვნის ბაძგისებრთა ოჯახს. რელიქტური მცენარე, მთელ ხეობაში გვხვდება ქვეტყის სახით უმეტესად მთის ქვედა და შუა სარტყლის ფოთლოვან და იშვიათად წიწვოვან ტყეებში იზრდება. ბაძგი ბუჩქია, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი. ზოგჯერ გვხვდება 3 მ-მდე სიმაღლის ხის სახითაც. მარადმწვანეა. ფოთოლი მოკლეყუნწიანია, ქვევით გადაღუნული, ღრმად ამოკვეთილია და ნაკვეთები ეკლით ბოლოვდება. ტყავისებრია, ხეშეში, ქვედა მხრიდან მკრთალი მწვანე, ზედა მხრიდან მუქი მწვანე და პრილა. ბაძგი ყვავის ზაფხულის დასაწყისში. ყვავილი თეთრია, ფოთლის უბეებში ჯგუფად განლაგებული. ნაყოფი წითელი ან მოყვითალო-წითელი კურკიანაა.

ხურმა (*Diospyros lotos*)

ეკუთვნის აბანოზისებრთა ოჯახს. თაფლოვანი მცენარე რომელიც ხშირად გვხვდება მთელ ხეობაში, ტენიან ადგილებში, ლაფანთან, რცხილასთან და მუხასთან ერთად. ხურმა სიმაღლეში 25 მ-ს აღწევს, ძალიან მყიფე ტოტები აქვს. ფოთლები კიდე მთლიანია, შიშველი, ზედა მხრიდან მუქი მწვანე და პრიალა, ქვედა მხრიდან - ლეგა მწვანე. ყვავის მაისში. ყვავილი ყვითელია, ორისამი ერთად ან დიდ ჯგუფად განლაგებული ფოთლის ილიაში. ნაყოფი თავიდან მოყვითალო-წითელი ფერისაა, მომწიფებული კი მუქდება და ლეგა ლურჯი ფერიც დაკრავს. ნაყოფი იჭმევა მხოლოდ ყინვების შემდგომ, როდესაც რბილდება და სიტკბობას იძენს.



ბრონეული (*Punica granatum*)

ბრონეულისებრთა ოჯახს ეკუთვნის. დაბალი ბუჩქები გვხვდება სოფელ მუხურის მიდამოებში (ძირითადად სოფელთან ახლოს). ბრონეული ბუჩქია, იშვიათად 4 მ-მდე ტანდაბალი ხე. ფოთლები კიდე მთლიანი, 6-8 სმ სიგრძის. ყვავის მაისში. ყვავილის ჯამი მწვანე ნივთი ფერისაა, გვირგვინის ფურცლები კი კაშკაშა ნივთი. ნაყოფი ველურად მზარდ ბრონეულებს სხვადასხვა ფერის აქვთ: წითელი, ვარდისფერი, მომწვანო ან მწვანე ფერის. ნაყოფი სრულ სიმწიფეს გვიან შემოდგომას აღწევს.

შინდი (Cornus mas)

შინდისებრთა ოჯახიდანაა. ერთეულ ხეებად გვხვდება მთელ ხეობაში მთის ქვედა და შუა სარტყლის მუხნარში, რცხილნარში და წიფლნარში. თაფლოვანი მცენარეა.

ფოთოლი აპრილსა და მაისში ვითარდება, როდესაც ნაყოფი უკვე გამონასკვულია. ფირფიტა კიდე მთლიანია, ზედაპირზე მკაფიოდ ემჩნევა ოთხი-ხუთი წერილი, რკალივით მოღუნული ძარღვი. ყვავის ადრე გაზაფხულზე სითბოს დადგომისთანავე. ყვავილი თეთრია, ყვავილედი - ქოლგა. ნაყოფი წითელი ფერისაა, თუმცა არსებობს ოქროსფერ ნაყოფიანი შინდიც. ნაყოფი მწიფდება აგვისტოში და შემოდგომაზე. ნაყოფი იჭმევა, ოდნავ მომჟავო გემო აქვს. იგი ასევე აქტიურად გამოიყენება მრეწველობაში.



ჯონჯოლი (*Staphylea colchica*)

ეკუთვნის ჯონჯოლისებრთა ოჯახს. საქართველოს ენდემური მცენარეა, თაფლოვანი. ნაყოფი გამოიყენება საკვებად, გვხვდება მთელ ხეობაში მთის ქვედა და შუა სართყლის ტყეებში. ჯონჯოლი ბუჩქია ან ტანდაბალი ხე. ფოთოლი ფრთართულია, შიშველი, ძირითადად კიდე მთლიანი, წვერთან ხერხისებრ დაკბილული. ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვედა - მოლუგო მწვანე, ფოთოლი ყუნწიანია, იშვიათად მჯდომარე. ყვავის აპრილსა და მაისში. ყვავილები თეთრია, გრძელყუნწა, საგველა ან მტევან ყვავილედად შეკრებილი; ნაყოფი სიფრიფანა კოლოფია, ბუშტივით გაბერილი. ჯონჯოლის ყვავილი გამოიყენება საკვებად, მას აგროვებენ გაშლამდე და ამწნილებენ.



უცვეთელა (*Philadelphus caucasicus*)

ფხიჯასებრთა ოჯახის წარმომადგენელია. გვხვდება ხეობაში ღუნჯის ჩანჩქერამდე მთის წინა კალთების ტყეებში, რცხილნარში, ძირითადად ტყის პირებზე. სიმაღლით 3 მ-ს არ აღემატება. ერთწლიანი ტოტები ყავისფერ-მეწამულია, ორწლიანი - ყავისფერი; ფოთოლი კიდედაკბილულია; უცვეთელა ყვავის მაისსა და ივნისში. მოყვითალო თეთრი ყვავილები შეკრებილია მტევნად. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია.

ჭანჭყატა (*Euonymus verricosus*)

როგორც ხშირად უწოდებენ - მეჭეჭიანი ჭანჭყატა ეკუთვნის ჭანჭყატასებრთა ოჯახს. გავრცელებულია მთელ ხეობაში უმეტესად იზრდება წიფლნარში, რცხილნარში, ნატყევიან ბუჩქნარში და მდელოებზე. ტენის მოყვარულია და უფრო მეტად გავრცელებულია ნესტიან ხეობებში. ყველაზე თვალსაჩინოდ გვხვდება დეიდახის ვოკლუზის მიმდებარედ. ჭანჭყატა 1-2 მ-მდე ბუჩქია. ტოტები მწვანეა და მოშავო ფერის მეჭეჭებითაა დაფარული. ფოთოლი შიშველია ორივე მხრიდან, ხერხისებრ დაკბილული. ყვავის მაის-ივნისში, ყვავილები მოწითალო მურაა, ფარად შეკრებილი. ნაყოფი მენამული-წითელი ფერისაა, გამოირჩევა ფორმით, რომელიც მარტო ჭანჭყატებისთვისაა დამახასიათებელი: ეს ოთხი ბლავნახნაგა კოლოფის ერთობლიობაა. ნაყოფი მნიფდება აგვისტო-სექტემბერში.

შავი დიდგულა (*Sambucus nigra*)

ცხრატყავასებრთა ოჯახს ეკუთვნის. სამკურნალო მცენარე, (სხვადასხვა დანიშნულებით, ძირითადად კუჭ-ნაწლავების დაავადებების დროს) გვხვდება ხობისწყლის ხეობაში მთის ქვედა და შუა სართყელის წიფლნარში და რცხილნარში.

დიდგულა 3-6 მ სიმაღლის ბუჩქია. მონაცრისფრო ტოტები აქვს. ხუთფოთოლაკიანი ფოთოლი შიშველია, კიდეებზე ხერხისებრ დაკბილული. დიდგულა ყვავის მაისსა და ივნისში. ყვავილი თეთრია, ნაწილი ყუნწიანი, ნაწილი - მჯდომარე. ყვავილეთი ფარისებრ-საგველაა. ნაყოფი შავი ფერის კენკრაა.



წიფელი (*Fagus orientalis*)

ეკოტენის წიფლისებრთა ოჯახს, ხობისწყლის ხეობაში მასიურად გვხვდება 800 მეტრი სიმაღლიდან წმინდა წიფლნარების ან შერეული წიფლნარების სახით, ტენიან ადგილებში, ხრიოკ და მზიან ადგილებში ზრდა უჭირს. ძალიან მაღალი ხეა, ზოგ შემთხვევაში 40 მ-ზე მეტი სიმაღლის, სიგანე 1,5 მ-მდეა. ნელა იზრდება, ცოცხლობს სამასი-ოთხასი წელი. ქერქი გლუვია და ნაცრისფერი. კვირტი დიდი ზომისაა, ნანვეტილი, მოწითალო-მიხაკისფერი ქერქლით დაფარული, ფოთოლი სიგრძით 5-12 სმ-ია, შვიდიდან თოთხმეტამდე გვერდითა ძარღვით, ზედა მხრიდან შიშველია და მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან - ღია მწვანე. ძარღვების გაყოლებაზე და ყუნწზე გრძელი, რბილი ბეწვით მოფენილი. ფოთლები ოდნავ დაკბილული, კიდემთლიანი და ტალღისებურია. ყვავილობს გაზაფხულზე, ფოთლის გამოტანისთანავე, ყვავილი პატარა ზომისაა და თეთრი. ნაყოფი - წიწიბო, მაგარ ბუდეშია ჩამჯდარი. წიწიბო მუქი, ბუდე კი ღია ყავისფერია. ბუდე გარედან მოფენილია ჯაგრისებრი გამონაზარდით.



მთის ბოკვი (*Acer pseudoplatanus*)

ნეკერჩხლისებრთა ოჯახიდანაა. ტენის და სიგრძლის მოყვარულია. ხეობაში იზრდება ზღვის დონიდან 1300-1600 მ. სიმაღლეზე, უმეტესად დასავლეთ საქართველოში, ტენიან ხეობებში, მდინარის მახლობლად, წიფელთან, ცაცხვთან, რცხილასთან და ზოგჯერ სოჭთან ერთად. მთის ბოკვი სიმაღლეში 40 მ-ს აღწევს. ქერქი მურა ნაცრისფერია. ასაკოვან ხეში ქერქი სკდება და დაშრევებულია. ფოთოლი ხუთნაკვთიანია, ზედა მხრიდან მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან ლეგა. ყვავილობს აპრილსა და მაისში, ყვავილეთი მტევანია. ნაყოფი 3-6 სმ სიგრძის ფრთიანი კაკალია, ფრთები ჯერ მწვანე ან მოწითალოა, სიმწიფის ფაზაში კი ლეგა - მოყვითალო.

სოჭი (*Abies nordmanniana*)

ფიჭვისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, ხეობაში იზრდება მთის ზედა სარტყელში, ნაძვთან და წიფელთან ერთად, ძირითადად ტენიან ხეობებში. სოჭი სიმაღლეში 40-50 მ-ს აღწევს, სისქეში 1.5 მ-ს. სხვა ფიჭვებისგან განსხვავებით ვარჯი (ხის განტოტვილი ნაწილი კენწერომდე) პირამიდულია და ძირიდანვე დატოტვილი. მარადმწვანეა, წიწვი (წვრილი, ნემსისებური ფოთოლი, რომელსაც იკეთებს ფიჭვი, ნაძვი და მისთანები) ბრტყელია, 2-3 სმ სიგრძის,

ზედა მხრიდან მუქი მწვანე. ქვედა მხრიდან გასდევს ორი მოვერცხლისფრო თეთრი ზოლი, ზოლებს შორის მწვანე ქედია ამოზნექილი. ღია-ყავისფერი-მოყვითალო მდედრობითი გირჩი ცილინდრულია, სიგრძეში 10-18 სმ, ხოლო სიგანეში 3-5 სმ-ია. გირჩი სწორმგდომია. მწიფდება პირველივე წელს და მომწიფებისას ქერქლებად იშლება. ამიტომ ხეზე გირჩის ღერძილა შერჩება ხოლმე. მფარავი ქერქი თხელია, დაკბილული და წაწვეტილი. ის არ არის შებრდილი სათესლე ქერქთან.



ნაძვი (Picea orientalis)

ფიჭვისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, ხეობაში ძირითადად გვხვდება 600 მეტრი სიმაღლიდან, მათ შორის ერთეულებად გვხვდება მთის შუა სარტყელის ტყეებშიც, ძირითადად კი მთის ზედა სარტყელში, სადაც ქმნის წმინდა ნაძვნარს ან ნაძვნარ-სოჭნარს. იშვიათად სოჭთან ერთად ან ფოთლოვან ხეებთან ერთად გვხვდება. ჩრდილის მოყვარულია და დაჩრდილულ ხეობებში სახლდება. იზრდება 40-50 მეტრამდე. ცოცხლობს 400 წლამდე. მარადმწვანეა, წიწვის სიგრძე 1 სმ-ს არ აღემატება. ცილინდრული, ღია ყავისფერ-მოწითალო მდედრობითი გირჩა სიგრძით 6-8 სანტიმეტრია სიგანით კი 2 სმ-ია. გირჩი ყოველთვის თავდაკიდებულია, ამ ნიშნით ნაძვი ტყეში ადვილი შესამჩნევია. მომწიფებისას გირჩი მთლიანად ცვივა.



დეკა (Rhododendron caucasicum)

მანანისებრთა ოჯახიდანაა. ტიპური მთის მცენარეა, რომელიც არათუ ბარში, მთის შუა სარტყელის საზღვარზეც იშვიათად გვხვდება. გავრცელებულია ტოპოგრაფიის მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც მაღალი მთის ჩრდილოეთის კალთებზე ქმნის ვრცელ დეკიანებს ალპური მდელოების მეზობლად. დაბალი ტანის, 1-1,5 მ. სიმაღლის ბუჩქია, ზოგჯერ დეკა მაღალი მთის ტყეშიც ხარობს და ამ შემთხვევაში ქმნის ქვეტყეს და უფრო მაღალიც იზრდება. მარადმწვანეა, ფოთოლი ტყავისებრია, თავმომრგვალებული ან წაწვეტილი, კიდებგადაკეცილი. ზედა მხარე შიშველია, ქვედა კი ქეჩისებრ შებუსვლი. ყვავილობს ივნის-ივლისში. დიდი ზომის თეთრი ან მკრთალი ყვითელი ყვავილი აქვს. ნაყოფი კოლოფია, და სექტემბერში მწიფდება.

წითელი მოცვი (*Vaccinium vitis-idaea*)

წითელი მოცვი ეკუთვნის მანანისებრთა ოჯახს, ხობისწყლის ხეობაში გავრცელებულია მაღალ მთებში, ტყეებსა და დეკიანებში (მაღალმთის მცენარეული დაჯგუფება). პატარა, მარადმწვანე ბუჩქია, მიწაზე გართხმული ან წამოწეული ტოტებით. სიმაღლით 30 სმ-ს არ აღემატება, უფრო ხშირად 15-20 სმ-ია. ფოთლები ტყავისებრია, მოკლეყუნწიანი, ზედა მხრიდან მუქი მწვანე, ქვედა შედარებით მკრთალი, კიდემთლიანია ან ოდნავ დაკბილული. ყვავილობს მაის-ივნისში, ყვავილები კი თეთრია ან მკრთალი ვარდისფერი, თავდაკიდებულ მტევნებად შეკრებილი. ნაყოფი კურკიანაა, მრგვალი, წითელი ფერის. მწიფდება აგვისტო-სექტემბერში.



მოცვი (*Vaccinium myrtillus*)

მოცვი მანანასებრთა ოჯახს ეკუთვნის, ხობისწყლის ხეობაში ხარობს სუბალპურ სარტყელში, გვხვდება უფრო მაღლაც, დეკიანებში (ადგილების სადაც დეკა იზრდება). შეტად დაბალი ბუჩქია, სიმაღლით 40 სმ-ს არ აღემატება, შიშველი ტოტები აქვს, რომლებსაც მთელ სიგრძეზე მსხვილი წიბო ჩასდევს. ფოთოლი შიშველია, პრიალა ხერხისებრ დაკბილული. მოცვი ყვავის ივნისში. ყვავილი მომწვანო-ვარდისფერია. ნაყოფი კენკრაა, ტკბილი, ოდნავ მომჟავო მოლურჯო შავი ფერის, ივლის-აგვისტოში მწიფდება.

იელი (*Rhododendron luteum*)

მანანასებრთა ოჯახს ეკუთვნის. ხობისწყლის ხეობაში გავრცელებულია როგორც დაბლობში ასევე მასიურად სუბალპურ სარტყელში ნაკაფ ტყეში.

ფოთოლი მოკლეყუნჩიანია, კიდეებზე შებუსვილი, მკრთალი მწვანე ფერის. ყვავილობა იწყება ფოთლის გამოტანამდე და დიდხანს გრძელდება. ყვითელი ყვავილები ქოლგის მსგავსადაა შეკრებილი. ნაყოფი თეთრი ფერის კოლოფია.

შქერი

ხეობას განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს ასევე პონტური შქერის მასიური ყვავილობა, რომელიც აპრილის მეორე დეკადიდან იწყება და მაისის პირველ დეკადამდე გრძელდება. ამ დროს მთელ ხეობაში შესაძლებელია ღია და მუქ ვარდისფრად, (ფერთა გრადაცია შქერისთვის დამახასიათებელია) ჯგუფებად შეკრებილი შქერის ყვავილების ნახვა.



წაბლისა და ცაცხვის ხეები

უნდა აღინიშნოს რომ ხეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას წაბლისა და ცაცხვის ხეები აძლევენ, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ მუხურის მეფუტკრეობისთვის ძირითად ბაზას.

კოლხური ყოჩივარდა

აღსანიშნავია ასევე აგვისტოს თვეში, ლუნჯის ჩანჩქერის მიმდებარედ მოყვავილე კოლხური ყოჩივარდას პოპულაცია, რომელიც ადგილობრივი ფლორის ენდემია და ჩანჩქერს კიდეც უფრო მიმზიდველს ხდის. სოფელი მუხურიდან, განსაკუთრებით შურუბუმუს მიმდებარედ ადვილი შესამჩნევია კოლხური ბზის თვითნათესი ახალმოზარდი ნერგები. მცენარე წითელი ნუსხის სახეობაა და ხეობაში ამჟამად ზრდასრულ მდგომარეობაში მხოლოდ გამხმარი ხეებია.



უთხოვარი/ურთხელი

განსაკუთრებით საინტერესოა და ხეობაში გვხვდება სხვადასხვა ზომის რელიქტური მცენარე უთხოვარი, რომელიც საქართველოს და გლობალურ წითელ ნუსხაშია შეტანილი. უთხოვარი მაღალდეკორატიულობით გამოირჩევა, მას ასევე აქვს ძალიან ძვირფასი მერქანი, რაც აქტიურად გამოიყენებოდა ავეჯის მრეწველობაში. სოფლის მიმდებარედ, ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები იწყება, აქ დიდი რაოდენობით გვხვდება ინტროდუცირებული, თაფლოვანი მცენარე რობინია ცრუ აკაცია (*Robinia pseudoacacia*), რომელიც მაისის თვეში აქტიური ყვავილობით გამოირჩევა და სანახაობრივთან ერთად სასაიამოვნო სურნელებას ქმნის ირგვლივ (მცენარე ინვაზიურია, თუმცა ის ფუტკრის საკვებ ბაზას წარმოადგენს). ადგილობრივი ფლორისათვის გარემო პირობებიდან გამომდინარე (მაღალი ტენიანობა) დამახასიათებელია ეპიფიტი მცენარეები (მცენარეები რომლებიც სახლობენ სხვა მცენარეებზე მაგრამ არ პარაზიტობენ, სამეგრელოს რეგიონში ეპიფიტებად მხოლოდ გვიმრები გვხვდება) - გვიმრების სახით. ფაქტი იმითაა საინტერესო რომ ყვავილოვანი ეპიფიტიები ზოგადად ტროპიკული წვიმის ტყეებისათვის არის დამახასიათებელი. ზოგადად კოლხური ტყეები თავისი სახეობრივი მრავალფეროვნებით, რელიქტური ქვე-ტყით, ეპიფიტებითა და ლიანებით/ხვიარებით ნატურალისტებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.



ორნაკვთიანი გინკო (Ginkgo biloba)

გინკოსებრთა ოჯახის ერთადერთი წარმომადგენელი, რომლის სამშობლოც არის აღმოსავლეთ აზია, ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთსა და იაპონიაში. რელიქტური მცენარეა, მარაოსებრი ორ ნაკვთიანი ფოთლით. გლობალური წითელი ნუსხის, ძვირფასმერქნიანი, სამკურნალო, მაღალდეკორატიული მცენარე იზრდება 30 მ-სიმაღლემდე. მდედრობითი ინდივიდი ივითარებს ნაყოფს და მრავლდება თესლით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება 20 - მდე სხვადასხვა ასაკის მცენარე რომლებიც ქმნიან შემოდგომის ასპექტს.

ქ. ჩხორონყუს ურბანული მცენარეული საფარი (იშვიათ მცენარეთა სახეობები)

ქ. ჩხორონყუს მუნიციპალიტეტი კოლხეთის დაბლობის სამეგრელოს ფლორისტულ რაიონს მიეკუთვნება. უშუალოდ ქალაქის ურბანულ გარემოში მრავლადაა იშვიათი და განსაკუთრებული მცენარეები. ქალაქი თავს იწონებს ახლად რეაბილიტირებული ისტორიული პარკით, რომლის დაგეგმარებაც ევროპულ-სიმეტრიული და მეტნაკლებად შერეული (ადგილობრივი ველური ფლორის სახეობებთან ერთად შერწყმულია დეკორატიული მცენარეები) სტილია, რაც ხეივანებისა და მაღალი ხეების, ასევე ფოთლოვან და წიწვოვან მცენარეთა მონაცვლეობაში გამოიხატება. უშუალოდ ქალაქ ჩხორონყუს ტერიტორიაზე 1 მთავარი პარკი და 1 მცირე ზომის სკვერია წარმოდგენილი, ხოლო მცენარეთა მრავალფეროვნება ამბრის ხეების, ფიჭვის, ჰიმალაის კედრის, გინკგო ბილობას, მარადმწვანე მუხების, აღმოსავლური ჭადრების, დიადი ბოყვისა, პალმისებრი და იაპონური ნეკერჩხლების და სხვადასხვა კულტურულ მცენარეთა სახეობებითაა ფორმირებული.


ქალაქის ტერიტორიაზე ინტერესს იწვევს იშვიათი და IUCN (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი) წითელი ნუსხის სახეობა ორნაკვთიანი გინკგო - ქალაქ ჩხორონყუს პარკსა და მის მიმდებარედ გინკგოს 20 ზე მეტი სხვადასხვა ასაკისა და ზომის ულამაზესი ხე დგას, ისინი პალმისებრ ნეკერჩხლებთან ერთად ქმნიან შემოდგომის ასპექტს და ქალაქს განსაკუთრებულ იერს აძლევენ. ორივე სახეობა ფოთოლმცვენია და შემოდგომით ფოთლების წითელ, წარინჯისფერ და ყვითელ ფერებში ახასიათებთ დაფერვა. გაზაფხულზე განსაკუთრებით მაისის თვეში ვიზიტორთა ყურადღებას საკურები იპყრობენ, 4 ძირი იაპონური საკურას კანზანის კულტივარი აპრილის მე-2 და მაისის პირველ დეკადაში 2 კვირის განმავლობაში უხვად ყვავილობს. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კოლხური ბზის ხეივანი, რომელიც პარკის ცენტრალურ

შესასვლელსა და ქალაქის მთავარი ქუჩის ხეივანს ქმნიან. კოლხური ბზის მასიური ნარგაობის ნახვა უკვე მხოლოდ ჩხორონყუს მუნიციპალიტეტშია შესაძლებელი.

იაპონური საკურა კანზანის კულტივარი (*Prunus serrulate* “kanzan”)

ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, ტანდაბალი ხეა. მაღალდეკორატიულობის გამო გვხვდება სხვადასხვა კულტივარის სახით (გამოყვანილი ფორმები). ღია ვარდისფერი უხვი ყვავილებით თავს აპრილის მეორე დეკადასა და მაისის პირველ კვირას იწონებს. არ ივითარებს ნაყოფს. ჩხორონყუს საკურების ნახვა ცენტრალური პარკის მიმდებარედ არის შესაძლებელი.





კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სოფელ მუხურში და მის მიმდებარედ

ეს თავი ეძღვნება სოფელ მუხურში და მის მიმდებარედ არსებული უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დახასიათებასა და აღწერას, როგორცაა ეკლესია-მონასტრები, სახლმუზეუმი და სხვა.

მუხურის ხიდი და მუხურის „პლიაჟი“

სოფლის ცენტრში, განსაკუთრებულ ყურადღებას იბყრობს მდ. ხობისწყალზე გადებული 10-11 მ. სიმაღლის ხიდი, ნაცხას (ადგილის დასახელებაა და ნიშნავს დამწვარს და განახლებულს/ადგენილს) ხიდი, რომელიც მუხურის ერთერთი სავიზიტო ბარათია. ხიდის აგების შესახებ დეტალური ინფორმაცია შემონახული არ არის, თუმცა ადგილობრივები მას თამარ მეფესთანაც აკავშირებენ. გადმოცემის მიხედვით მეფემ ეს ხიდი გადაიარა. ხიდის თაღოვანი კონსტრუქცია პირდაპირ კირქვას უერთდება და ის ადგილობრივებისა და ვიზიტორების ერთერთი თავშეყრის ადგილია.

ხიდიდან ჩრდილოეთით, მდ. დინების საპირისპიროდ, ვიზიტორების ყურადღებას იბყრობს ველობი (პატარა მინდორი ტყეში), დიდი ხეებით, ჩრდილით და ლამაზი ხედებით (მათ შორის ხიდისაც), სწორედ ეს ტერიტორიაა ადგილობრივებისა და დამსვენებლების თავშეყრისა და დასვენების სივრცე, რომელსაც მეტნაკლებად მცირე ზომის „პლიაჟი“-ც შეგვიძლია ვუწოდოთ.



ოცინდალეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

ოცინდალეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მიეკუთვნება უძველესი, ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშსა და ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ეკლესია ზღვის დონიდან 640 მეტრ სიმაღლეზე სოფელ თაიიდან 2.5 კილომეტრში მდებარეობს. ეკლესია მე-11 საუკუნეშია აგებული, ამავე დროით თარიღდება ასევე ეკლესიის კარი რომელიც ვაზისგან იყო დამზადებული და ამჟამად ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ოცინდალეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია საუკუნეების მანძილზე იყო და არის სარწმუნოებრივი ცენტრი სადაც ყოველი წლის 23 ნოემბერს გიორგობას უამრავი მომლოცველი იკრიბება. ოცინდალეს ეკლესიას ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი 2006 წელს მიენიჭა. ეკლესიამდე სოფელ თაიიდან 2.5 კმ სამანქანო გზა ადის რითაც მაღალი გამავლობის მანქანები გადაადგილდებიან, ხოლო სოფელ მუხურიდან ოცინდალესკენ ძველი, საფეხმავლო ბილიკი გადადის, რომელიც სალაშქროდ - საშუალო სირთულის გზას მიეკუთვნება.



მუხურის ეკლესია

სოფელ მუხურის სასაფლაოზე მდებარეობს მუხურის ეკლესია, აგებული სამნავიანი ბაზილიკის სტილში, ოდნავ გადაკეთებულია სავარაუდოდ რესტავრირების ან გამაგრებითი სამუშაოების დროს. მდებარეობს მუხურის სასაფლაოზე და მიეკუთვნება გვიანი შუა საუკუნეების პერიოდს. აგებულია თლილი კირქვით, მყარი სქელი კედლებითა და ბოძების მონაცვლეობით, არ აქვს სახურავი თუმცა კედლები შენარჩუნებულია. ძეგლი შესულია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.



ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმი

ყველასათვის ცნობილი და საყვარელი პოეტი ლაშა გახარია 1947 წელს დაიბადა სოფელ მუხურში. პოეტი 2004 წელს მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა. დღეს მისი სახლ-მუზეუმის დათვალიერება სოფელ მუხურში შეიძლება. ოდა ტიპის სახლი რომელიც სოფლის ცენტრთან

ძალიან ახლოს მდებარეობს წარმოდგენილია ტიპური კოლხური სტილის ეზოთი. ოდა ნაბლის ხითაა აგებული, ხოლო ეზოში მრავლადაა ბროწეულის, რცხილის, ცაცხვისა და კაკლის ხეები. ეზოში გაშლილი სივრცეა და შესაბამისად მუზეუმი პერიოდულად მასპინძლობს ლიტერატურულ ღონისძიებებს, პოეზიის საღამოებს, ფოლკლორულ კონცერტებსა და სხვა.

ხის სახლები მუხურში

აღსანიშნავია რომ სოფელი მუხური ოდითგანვე ცნობილი იყო გამორჩეული ხის ოსტატებით, ასევე ტყესთან მათი სიახლოვე განაპირობებდა მასალების ხელმისაწვდომობას რის გამოც მუხურში მრავლად შეხვდებით ნაბლის ხის სახლებს. განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან დაიწყო მასიურად 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლების შენება, სადაც მეორე სართული სრულად ნაბლის ხის მასალით იგებოდა. შესაბამისად სოფელი თავისი არქიტექტურითაც იპყრობს ვიზიტორთა ინტერესს.

კახა თოლორდავას (მეპატრონე) ოდა

ოდა სახლი ნაბლის ხის მასალითაა აშენებული. როგორც მესაკუთრე გვიამბობს, დაშლილი ოდა 1934 წელს შეიძინეს მისმა წინაპრებმა, თუმცა მძიმე სოციალური პირობებისა და მეორე მსოფლიო ომის გამო ის 1953 წელს ააწყვეს. ოდა დღესაც ამაყად დგას და კარგად ინარჩუნებს პირვანდელ იერსახეს. ოდას არ აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.





ნატო წურწუმის (მეპატრონე) ოდა

წაბლის ხის მასალისგან დამზადებული ოდა სახლი ტიპიური ვრცელი ტრადიციული მეგრული ეზოთი - უშუალოდ ოდა 1905 წლით თარიღდება (ბუხარზე გაკეთებული წარწერის მიხედვით), აგებულია სრულად ულურსმნოდ, წაბლის ხის მასალით. სახურავად გამოყენებულია მარსელის კრამიტი, საძირკველს სიმყარისათვის ხობისწყლის თეთრი ქვებისგან აგებული სიმაგრეები აქვს, სახლი აგურის ბოძებზე დგას, მეტნაკლებად შენარჩუნებული იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ხელით გამოჭრილი ჩუქურთმებით და ორნამენტებით. ოდას არ აქვს (ოფიციალურად) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

აქ ასევე შესაძლებელია ნახოთ, ძველი მარანი სადაც 27 სხვადასხვა ზომის ქვევრია ჩამარხული, უმცირესი მათ შორის 12 ლიტრიანი, ძველი ქვის ღობე - ხიბილი, სასიმინდე („მაღაზა“), ხელის წისქვილი, ძველებური ლურსმანი და სხვა. ეზო ტიპიური მეგრული სტილისაა, რომლისთვისაც გაშლილი ხასხასა მინდორი და დიდი საჩრდილობელი ხეები, ძირითადად მსხალი, რცხილა ან ცაცხვია დამახასიათებელი. აქ დარგულია ადგილობრივი ჯიშის ხეჭეჭური (საზოთო - ზამთრის მსხალი), ღვინჯე მსხალი, კომში, თუთა, და ეზოში ასევე შეიმჩნევა ბზის ძირები, რომლებიც სავარაუდოდ განმობის შედეგად მოჭრეს. ოდა სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს რესტავრაციას, თუმცა ბევრს გვიამბობს მუხურის ცხოვრების სტილის შესახებ გასულ საუკუნეებში.

ირაკლი გაბედავას (მეპატრონე) ოდა

წაბლის ხისგან დამზადებული, ძველი ოდა სახლი, რომლიც სავარაუდოდ 1901 წელსაა აშენებული, სავარაუდოდ ირაკლის (დღევანდელი მეპატრონე) დიდი ბაბუის - გიორგი გაბედავას მიერ. სახლი თლილი ქვის ბოძებზეა, აქვს ხის დარაბები, შენარჩუნებულია აივნების ჩუქურთმები, გადახურულია ალუმინის სახურავით, სამწუხაროდ მასალის დასაცავად წინა ფასადი შეღებილია თეთრად. ეზოც ტიპური კოლხური სტილია, ვრცელი მინდვრითა და საჩრდილობელი ხით (ამჯერად დიდი ბლის ხე). ოდა მდებარეობს მდინარე ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე, მუხურის მღვიმის მახლობლად. ოდას არ აქვს ოფიციალური, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი.



ჩხორონყუს მუნიციპალიტეტში - განსაკუთრებით სოფელ მუხურსა და მის მიმდებარე სოფლებში ადგილობრივი ტრადიციები და დღესასწაულები

დღესასწაულები და ტრადიციები ხშირად ადამიანთა ცხოვრების სტილს, გარემო პირობებს, რელიგიასა და შეხედულებებს უკავშირდება. სამეგრელო, განსაკუთრებით სოფელი მუხური და მისი მიმდებარე სოფლები ცნობილია სხვადასხვა ტრადიციული დღესასწაულებისა და ღონისძიებების მრავალფეროვნებით რომელთა უმეტესობაც არა პირვანდელი სახით, თუმცა მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია.

ჩხორონყუობა

ქალაქ ჩხორონყუში, ცენტრალურ ქუჩაზე, ყოველწლიურად ნოემბრის პირველ შაბათ/კვირას იმართება და წარმოადგენს ადგილობრივ დღესასწაულს, იმართება სხვადასხვა ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებები, ღია ბაზრობები, შეხვედრები, გამოფენები, კონცერტები და სხვა. მზადდება ტრადიციული ადგილობრივი კერძები, საზეიმოდ ხდება საპატიო ჩხორონყუელების დაჯილდოვება. ადამიანებს შესაძლებლობა ეძლევათ სურვილის მიხედვით ჩაერთონ სხვადასხვა ღონისძიებებში, უკეთ გაეცნონ ჩხორონყუს მუნიციპალიტეტსა და მის სოფლებს, გაატარონ დღე საინტერესოდ. (დღესასწაული ახალი დამკვიდრებულია).

მენჩურა

ძველი კოლხური ორთაბრძოლა წყალში, წყალჭიდი, ტრადიცია რომელიც ბოლო რამდენიმე წელია ასევე მუხურში განახლდა, შეჯიბრი/ტურნირი ყოველი წლის აგვისტოს მეორე ნახევარში სოფელ მუხურში ხიდთან იმართება. წესების მიხედვით მოწინააღმდეგეები ერთმანეთთან მიცურდებიან და

ცდილობენ თავი წყალში ჩააყოფინონ, მარცხდება ის ვისაც თავზე წყალი გადაუვლის. მონაწილეები წონითი კატეგორიების მიხედვით არიან დაყოფილნი და ემორჩილებიან წესებს. აკრძალულია დარტყმა, განზე გადახტომა, წყლის განგებ შეშხეფება და სხვა. ზოგადად ტრადიცია 3 ათას წელზე მეტს ითვლის და ის სუფთა, მდორე და ღრმა წყალში იმართება. ტურნირში მონაწილეობას ადგილობრივებთან ერთად დამსვენებლები, ვიზიტორები და სხვა მსურველები იღებენ სხვადასხვა კუთხიდან. მენჩურა სოფელ მუხურში, ნაცხას ხიდთან (მუხურის ხიდი) ბოლო რამდენიმე წელია აქტიურად იმართება და ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს.

სტუმრების მიმართ დამოკიდებულებები

ზოგადად სამეგრელო და განსაკუთრებით სოფელი მუხური ცნობილია თავისი სტუმართმოყვარეობითა და განსაკუთრებული დამოკიდებულებით სტუმრებისადმი, განსაკუთრებით ქორწილებისა და სხვა სადღესასწაულო შეკრებების დროს. ადგილობრივ მოსახლეობაში დამკვიდრებული იყო ტრადიცია, რომლის მიხედვითაც არცერთ სტუმარს არ უნდა დაეტოვებინა მასპინძლის ზღურბლი ღვინის გარეშე.

სუფრის ბოლოს ისინი შემოსასვლელ ჭიშკართან ხვდებოდნენ მაყრებსა და სხვა სტუმრებს, ხოლო ვინც ფხიზელი მიდიოდა სათითაოდ ღვინით სავსე სასმისის დაცლას თხოვდნენ. დროთა განმავლობაში ეს ტრადიცია თანდათან გაუჩინარდა. ადგილობრივები ასევე იხსენებენ უახლოესი წარსულის ამბებსაც, როდესაც მოულოდნელად და ხანმოკლე ვიზიტით მოსულ სტუმრებს ჭიშკართანვე უმასპინძლებოდნენ არყითა და თხილით (ამით მასპინძელი კეთილგანწყობასაც გამოხატავდა). ადგილობრივებში სტუმარმასპინძლობა და სტუმრისადმი პატივისცემა დღესაც ძლიერადაა შენარჩუნებული.

რელიგიური დღესასწაულები

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლამ, ისტორიულად ქართულ კულტურაზე, დღესასწაულებზე და პრაქტიკებზე დიდი გავლენა იქონია. შესაბამისად, რელიგიური დღესასწაულები დამახასიათებელია საქართველოს ყველა რეგიონისათვის, მათ შორის მუხურისა და მიმდებარე სოფლებისათვის. ხშირად რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნა სოფლის მაცხოვრებლებისათვის უკავშირდება კონკრეტულ სალოცავს და ტაძარს, მათ შორის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე ეკლესიებს, რომლებიც მოქმედებენ ამ სოფლებში.

ამაღლების დღესასწაული

მუხურის მეზობელ სოფელ ზუმში ყოველწლიურად აღინიშნება. ქრისტიანული კალენდრის მიხედვით დღესასწაული მოძრავია და ის აღდგომიდან მე-40 დღეს აღინიშნება. ამ დღეს სოფლის მცხოვრებლებს ყველა ოჯახში ლხინი აქვთ გამართული და ყველანი დიდი სიხარულითა და ზარზემით იღებენ სტუმრებს. კონკრეტულად ამ დღესასწაულის წარმოშობის ზუსტი ცნობები არ არსებობს, თუმცა ზოგადად სოფლებში იმ

წმინდანის ხსენების დღეს ირჩევდნენ აღსანიშნავად/სადღესასწაულოდ რომლის სალოცავიც იყო, ან მეორე შემთხვევაში იმ დღეს როდესაც ეკლესია-მონასტერი იხსნებოდა.

კონკრეტულად სოფელ ზუმში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაა მოქმედი, თუმცა შესაძლებელია ეს ეკლესია რესტავრაციამდე ამაღლების სახელობის ყოფილიყო ან უბრალოდ ამაღლების დღესასწაულზე გახსნილიყო, რაც შესაბამისად განაპირობებს სოფელში ამ დღესასწაულის დამკვიდრებას. სოფელში დღესასწაული ტრადიციულად წირვა-ლოცვით იწყებოდა ხოლო შემდგომ სხვადასხვა ტიპის სპორტული და კულტურული ღონისძიებები იმართებოდა. სტუმრები თავს მთელი რეგიონიდან იყრიდნენ, მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში. დღესათვის ეს ტრადიცია სახეცვლილია და მხოლოდ სტუმრების მიღებით აღინიშნება.

გიორგობის დღესასწაული

მუხურის მეზობელ სოფელ თაიაში ყოველი წლის 23 ნოემბერს წმინდა გიორგის ხსენების დღე აღინიშნება. დღესასწაული ქრისტიანულია და სოფელ თაიიდან 2.5 კილომეტრში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ოცინდალეს მონასტერთან არის დაკავშირებული. ყოველ წლიურად მომლოცველები სხვადასხვა კუთხიდან იყრიდნენ თავს, პირველ რიგში ოცინდალეს მონასტერში აღევლინებოდა წირვა-ლოცვა, ხოლო შემდგომ უკვე მთელი დღის განმავლობაში ადგილობრივები და სტუმრები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ ამ დღეს ტრადიციულად სოფელ თაიაში იმართებოდა მარულა (დოღის ეროვნული სახეობა) რომელშიც ცხენოსნები იღებდნენ ყველა კუთხიდან მონაწილეობას. დღის ბოლოს რა თქმა უნდა სტუმრები თაიის სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ. დღეს უკვე გიორგობის დღესასწაულზე, თაიიდან მომლოცველთა ისევ დიდი

რაოდენობა ადის ოცინდალეს მონასტერში და წირვა-ლოცვას ესწრება, რაც შეეხება სხვა ღონისძიებებს ესენი უკვე აღარ იმართება, თუმცა სოფელში ადგილობრივები სტუმრებს ისევ გულთბილად უმასპინძლდებიან.

ნათლისღების დღესასწაული

რელიგიური დღესასწაული სოფელ მუხურში აქტიურად აღინიშნებოდა ყოველწლიურად 19 იანვარს, ნათლისღების დღეს. ამ დღეს ადგილობრივი მოსახლეობა მომლოცველებთან ერთად აწყობდა განბანვის რიტუალს მდ. ხობისწყალში. თუმცა ეს ტრადიცია დროთა განმავლობაში დაიკარგა. დღეს უკვე აქა იქ თუ შევხვდებით რამდენიმე ადამიანს ვინც განბანვის რიტუალს უერთდება თუმცა მან მოსახლეობაში მასობრივი სახე დაჰკარგა.

საგვარეულო დღესასწაულები

საგვარეულო დღესასწაულები ისევ დაკავშირებული იყო რელიგიასთან, კონკრეტულად ამა თუ იმ გვარისათვის საკუთარი ხატი, წმინდანი იყო მიჩნეული. ტრადიციამ სახე იცვალა საბჭოთა კავშირის პერიოდში (თუმცა სრულად არ გამქრალა) და შესაბამისად ბევრმა გვარმა დაივიწყა საკუთარი სალოცავიც, ხატი და წმინდანიც, თუმცა უმეტესობამ ეს ტრადიციები

შეინარჩუნა. უკვე პატრიარქის და ქართული ეკლესიის მიერ დაიწყო კურთხევა გვარებისა და სალოცავების, სწორედ ამიტომ მუხურში უკვე რამდენიმე წელია აქტიურად აღინიშნება თოლორდავებისა და ბენდელიანების გვარის კურთხევა.

თოლორდავების საგვარეულო დღესასწაული

სოფელ მუხურში ყოველ წელს მარიამობის (28 აგვისტო) შემდგომ პირველ კვირა დღეს აღინიშნება, ამ დროს გვარის წარმომადგენლები საგვარეულო ჯვართან იკრიბებიან და საგვარეულო ლოცვას აღავლენენ.

ბენდელიანების საგვარეულო დღესასწაული

სოფელ მუხურში ყოველი წლის აღდგომიდან მე-2 კვირის ორშაბათს (უფალ თანაფაშ მაჟია თუთაშხა) აღინიშნება. ამ დროსაც გვარის წარმომადგენლები სალოცავთან (ბენდელიანების სალოცავი) იკრიბებიან და საგვარეულო ლოცვა აღევლინება. რაც შეეხებათ მუხურში მცხოვრებ სხვა გვარებს, ისინი ან სხვა სოფელში აღნიშნავენ საგვარეულო დღესასწაულს, ან კონკრეტული თარიღი დასახელებული არ არის, შესაბამისად მათ შესახებ დოკუმენტში ინფორმაცია არ არის მოწოდებული.



მუხურის ფუტკარი

სოფელი მუხური ასევე ცნობილია ქართული მთის რუხი ფუტკრის მეგრული პოპულაციით, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებზე სამი ოქროს მედლი აქვს მოპოვებული და ხშირად მოიხსენიება როგორც მუხურის ფუტკარი.

- 1) 1961 წელი - გერმანია, ქალაქი ერფურტი
- 2) 1965 წელი - ქალაქი ბუქარესტი, რუმინეთი
- 3) 1971 წელი - ქალაქი მოსკოვი, რუსეთი
საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე.

ქართული მთის რუხი ფუტკარი - მეგრული პოპულაცია გამოირჩევა:

- თვინიერება (მშვიდია)
- შრომისმოყვარეობა წვიმიან და ტენიან ამინდებშიც (მაღალპროდუქტიულობა)
- ხორთუმის სიგრძე (7,2 – 7,3 მმ.)

ფუტკრის სტაციონარი სოფელი მუხურია, - ხოლო მთაბარობა 10 ივნისიდან იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება (რა თქმა უნდა ზუსტი

რიცხვები ამინდზეა დამოკიდებული) ხობისწყლის ხეობაში, ლუგელას მიმდებარედ. ფუტკარს საკვების მოსაპოვებლად დაახლოებით 7 კმ მანძილის დაფარვა შეუძლია, თუმცა ნაყოფიერ დაშორებად 2-3 კმ მანძილი ითვლება. ხეობაში ფუტკრის საკვები ბაზა კოლხური ბზით იწყება, შემდეგ მოდის შინდი, წყავი, მაცვალი, აკაცია, ხურმა, ნაბლი, ცაცხვი, სურო და სხვა.

ქართული მთის რუხი ფუტკარის მეგრული პოპულაციის დედა ფუტკარი, ადგილობრივების გადმოცემით მხოლოდ მუხურში, ლუგელას ხეობაში ფორმირდება და იშვიათი და მოთხოვნადია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დედა ფუტკარი იგზავნებოდა აშშ-ში, ავსტრალიაში, ყაზახეთში, რუსეთში, კანადაში, ახალ ზელანდიაში და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

სოფელ მუხურში 1946 წლიდან არსებობდა საჯიშე მეურნეობა, ხოლო კვლევითი ცენტრი 2017 წელიდან ფუნქციონირებს ქართული მთის რუხი ფუტკრის დასაცავად, რათა არ დაიკარგოს ბუნების ეს უნიკალური ეგზემპლარი.



ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად არის მეფუტკრეობით დაკავებული. მუხურში თაფლის გარდა ინარმოება მეფუტკრეობიდან მიღებული სხვა პროდუქციაც, როგორცაა დინდგელი, ფუტკრის რძე, ფუტკრის შხამი, ყვავილის მტვერი, თაფლის არაყი, ცვილი და სანთელი. მეფუტკრეობა სოფელ მუხურის მოსახლეობისათვის ერთერთი ძირითადი, ტრადიციული მეურნეობის დარგია. ხეობა თაფლოვან მცენარეთა მრავალფეროვნებით იდეალურ გარემოს ქმნის. პირველი საკვები იყო ბზა, რომელიც ადრე გაზაფხულზე იწყებოდა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ბზის დაავადებების (მწერი რომელიც ფოთლებს ჭამს - ბზის ალურა და პარაზიტული სოკო - ბზის სიდამწვრე)

გამო ის მთელ ხეობაში გახმა, რამაც მისი როგორც საკვები რგოლის გაქრობა გამოიწვია. შემდეგ მოდის შინდი, ჯონჯოლი, ხურმა, წყავი, აკაცია, ცაცხვი, და ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობა - ნაბლი რომელიც აქტიურ ყვავილობას ივნისის თვის მეორე ნახევრიდან იწყებს. ამ დროს მეფუტკრეებს ფუტკარი ხობისწყლის ხეობაში აჰყავთ და შესაბამისად გზისპირებზე მრავლად შეხვდებით კოხტად დალაგებულ ბუკებს. ადგილობრივების გადმოცემით თაფლის ქურდობა უმძიმეს ცოდვად ითვლება. ტრადიციულად თუკი მეფუტკრესთან გაჩერდებით (მისი იქ ყოფნის დროს) აუცილებლად შემოგთავაზებენ უგემრიელესი თაფლის დაგემოვნებას.



მეგრული კულინარია

ამ თავში აღწერილია სამეგრელოს და ზოგადად სოფელი მუხურისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კერძები და სამზარეული, რისი მომზადებაც ტიპურად ახასიათებს ადგილობრივ მოსახლეობას.

სოფელი მუხური ტრადიციულად ცნობილი იყო მეცხოველეობით, განსაკუთრებით კი მესაქონლეობითა და მეთხევობით. არსებულმა გარემომ დიდი როლი ითამაშა მეგრული სამზარეულოს მრავალფეროვნებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რძის პროდუქტები, რომლებიც ადგილობრივების ძირითად ყოველდღიურ საკვებს წარმოადგენს, მაგალითად, მეგრული სულგუნი, შებოლილი სულგუნი, მანონი, ნადული და სხვა.

მეგრული სამზარეულოს ერთერთი თავისებურებაა ასევე განსაკუთრებით ცხარე კერძები, რაც ისევ გარმო პირობების გავლენას უკავშირდება. კონკრეტულად სამეგრელოს რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ებრძოდა მალარიას, შესაბამისად მისგან თავის დასაცავად/ განსაკურნებლად ისინი განსაკუთრებით ცხარე საკვებს მიირთმევდნენ, დროთა განმავლობაში კი ეს ყველაფერი ჩვევაში გადაიზარდა და ტრადიციულ კერძებში აისახა. განსაკუთრებით ცნობილია ცხარე საკმაზები, მეგრული აჯიკა და სხვა.

ლომი - მეგრული სამზარეულო ღომით იწყება, რომელიც მცენარე სიმინდის შემოსვლამდე მც. ღომის ნაყოფისგან მზადდებოდა. ღომი გამოიყენება/ გამოიყენებოდა ყოველდღიურ საკვებად, ხშირ შემთხვევაში პურის ნაცვლად. სამეგრელოში ასევე მჭადის დასამზადებლად ისევ სიმინდისგან მიღებულ ფქვილს იყენებენ, თუმცა ძველად მჭადი მცენარე ფეტვის ნაყოფისგან მზადდებოდა.

მეგრული სულგუნი - მეგრული სამზარეულოს ერთერთი გამორჩეული ყველის ნაირსახეობაა. მეგრელები მას ძირითადად ყოველდღიურად - ცხელ ღომთან ერთად მიირთმევენ.

შებოლილი სულგუნი - მეგრული სულგუნისგან მზადდება, მას ფაცხებში შუა ცეცხლზე ახმობდნენ. მეგრული ცხოვრების წესიდან გამომდინარე სულგუნს ფაცხაში ჭერზე კიდებდნენ სადაც მას მუდმივად შუა ცეცხლის კვამლი ხვდებოდა, აშრობდა, ხანგრძლივად ინახავდა და განსაკუთრებულ გემოს აძლევდა. შებოლილ სულგუნსაც ცხელ ღომთან ერთად მიირთმევენ.

გებჯალია - მეგრული სამზარეულოს ერთერთი გამორჩეული კერძია, რომელიც დღესასწაულებზე ან განსაკუთრებული სტუმრებისთვის მზადდებოდა. მზადდება ახალი უმარილო ყველისა, პიტნისა, სუნელებისა და დაღერლილი წინაკისაგან.

ელარჯი - მისი წარმოშობა მწყემსების ხანგრძლივი დროით მთაში ყოფნასთან არის დაკავშირებული. როდესაც ადგილობრივები მთაში ნახირს მიერეკებოდნენ იქ თვეობით უწევდათ ყოფნა, შესაბამისად რთული იყო საკმარისი რაოდენობის სიმინდის ღერლილისა და ფქვილის თან წაღება, ხოლო ყველი ხელმისაწვდომი იყო, შესაბამისად მათ პირველებმა დაიწყეს ელარჯის დამზადება სიმინდის ღერლილისა და ყველისაგან. კერძი გემრიელი და ნოყიერი გამოდიოდა. დღესათვის ელარჯიც ერთერთი განსაკუთრებული და გამორჩეული კერძია რომელსაც დღესასწაულებზე ან სტუმრებისათვის ამზადებენ.

ჩინჩოლია/ფუჩხოლია ყველი - მზადდება პიტნის, ნივრის, სუნელებისა და რაც მთავარია ჭყინტი ყველისაგან. ჭამენ ღომთან ერთად. ძირითადად ჩვეულებრივი ყოველდღიური საკვებია.

მეგრული ხაჭაპური - ხორბლის ფქვილისგან მომზადებული ცომითა და ქყინტი ყველით, ხოლო თავზე გახეხილი ყველისა და კვერცხის ნარევით მზადდება. მუხურში ადგილობრივებისათვის შეიძლება ითქვას ერთდროულადაა, როგორც ყოველდღიური ასევე სადღესასწაულო სუფრის ნაწილი.

მეგრული საცივი - ნიგვზიანი, კერძი, მზადდება ინდაურით და საახალწლო სუფრის ძირითადი კერძია. საცივი ასევე სხვა სადღესასწაულო სუფრებზე ან სტუმრების საპატივცემულოდ მზადდება. ჭამენ ღომთან ერთად. აღსანიშნავია რომ ნიგოზს ადგილობრივები ხობისწყლის ხეობაში დღესაც აქტიურად აგროვებენ.

კაჭაბე - დამწნილებული კეჭერა ფხალი, რომელიც იჭრება კუბიკებად და აზავებენ ნიგვზიანი სუნელებით. ჭამენ ღომთან ერთად. ადგილობრივების ყოველდღიური საკვებია, თუმცა ხშირ შემთხვევაში სადღესასწაულო სუფრებსაც ამშვენებს.

მეგრული აჯიკა (სუნელი) - მზადდება მწვანილების, ნივრის, მწარე წიწაკისა და თხილისაგან, გამოიყენება შესაზავებლად, ჭამენ ბოსტნეულთან ერთად, ძალიან უხდება ადგილობრივ კერძებს. ძირითადად მზადდება ზაფხულობით.

სანმელი - ადგილობრივი წვნიანი ცხელი კერძი, მზადდება მოხარშული ქათმის ხორცისაგან, სუნელებისა და მჭადის ფქვილით, უმატებენ პომიდორს (თუმცა ძველად პომიდვრის გარეშეც მზადდებოდა), ჭამენ ღომთან ერთად და ძირითადად ამზადებენ ზამთარში. ძირითადად ყოველდღიური კერძია, იშვიათად შევხვდებით სადღესასწაულო სუფრებზე.

კურჯანი (ცხელი კუჭმაჭი) - ცხელი კერძია, რომელიც მზადდება საქონლის შიგნეულობისაგან, წვრილად დაჭრილი ნაწლავები იხარშება და ზავდება ქონდარით, ნივრით, მწარე წიწაკითა და სხვა სუნელებით. ცხიმოვანი კერძია და მიირთმევენ ღომთან ერთად. სადღესასწაულო სუფრების განუყოფელი ნაწილია.

კუპატი - ღორის შიგნეულობისა და ხორცის ნარევი, შეზავებული ქონდარით, ნივრით, მწარე წიწაკითა და სხვა სუნელებით, ათავსებენ ღორის ნაწლავში და შემდეგ კიდებენ საკვამურთან. ზამთარში მზადდება, და მიირთმევენ ღომთან ერთად. იგი ერთერთი გამორჩეული კერძია რითაც სტუმრებს უმასპინძლებიან.

მეგრული კვარი (ყველით) - მზადდება ხორბლის ფქვილისგან დამზადებული ცომისა და ქყინტი ყველისაგან. იგი ადგილობრივებისათვის ხაჭაპურის მსგავსად თითქმის ყოველდღიური კერძია, რომლითაც ხშირად უმასპინძლებიან სტუმრებსაც.



დასკვნითი სიტყვა


არსებული დოკუმენტის შესაჯამებლად სრულიად დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ სოფელი მუხური და მისი შემოგარენი არის საკმაოდ მრავალფეროვანი და დატვირთული საინტერესო სანახაობებით, ბუნებით, ხე-ტყით, ისევე როგორც ისტორიული და ტრადიციული ნაგებობებით. ხოლო ხობისწყლის ხეობა მდიდარია ბიომრავალფეროვნებით, მცენარეებითა და ფლორით, მათ შორის ენდემური სახეობებითაც. რაც მთავარია სოფელი წარმოდგენილია სტუმართმოყვარე მცხოვრებლებით, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სოფლის მეურნეობასა და კულინარიაში, და რომლებიც დიდი ალტაცებითა და სიამოვნებით გაუზიარებდნენ მათ გამოცდილებებსა და ადგილობრივი კულინარიული ტრადიციების შესახებ ინფორმაციას ვიზიტორებს.

სოფელი მუხური, მისი ისტორიით, ტრადიციებითა და კულტურით რათქმუნდა სამეგრელო-ზემო სვანეთის განუყოფელი ნაწილია და ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტილს. თუმცა სოფელი შეიძლება ჩაითვალოს რეგიონის განსაკუთრებულ ნაწილად, რომელიც გამოირჩევა ბიოკულტურული კაპიტალით, ბუნებით, ბუნებრივი წარმოშობის ძეგლების სიუხვითა და ბიომრავალფეროვნებით, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა ხეობა და თაფლოვან მცენარეთა მრავალფეროვნება, რომელიც იდეალურ გარემოს ქმნის ქართული მთის რუხი ფუტკრისათვის და აქ მოხინაღრე დედა-ფუტკრისათვის. შესაბამისად, გასაკვირი არაა რომ მეფუტკრეობა სოფელ მუხურში


მეურნეობის ტრადიციული და მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რითიც დაკავებულია ბევრი ადგილობრივი მენარმე დამატებითი შემოსავლის მისაღებად და ტრადიციული პრაქტიკის შესანარჩუნებლად. თვითონ მეფუტკრეობა და ფუტკრის სიმრავლე ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას და სოფლის-მეურნეობის მებაღეობა/მემცენარეობის მიმდინარეობასაც აძლიერებს, რადგან ფუტკარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამტვერიანების კუთხით. აქიდან გამომდინარეობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაინტერესებაც, აუშენებინა ქართული მთის რუხი ფუტკრის დასაცავად კვლევითი ცენტრი სოფელ მუხურში. მნიშვნელოვანია ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს დახმარება და UNIDO-ს ჩართულობაც პროექტის ფარგლებში, რომელიც ემსახურება ადგილობრივი მენარმეების გაძლიერებას კლასტერული მიდგომით, მეფუტკრეობის გაფართოებას და სინერჯის პოვნას მუხურის ბიოკულტურულ რესურსებთან სასოფლო-ტურიზმის გასავითარებლად მუხურში და მის მიმდებარედ. პროექტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მუხურის ბიოკულტურული აქტივების გამოყენებაში, მუხურის მიმზიდველობის გასაზრდელად ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებში. ამ კუთხით, აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილი ინფორმაცია ნამდვილად დაეხმარება პროექტს და აღჭურავს პროექტის გუნდს იმ მასალებით რაც არის საჭირო მუხურის ბიოკულტურული შესაძლებლობების გამოყენებისთვის, სასოფლო-ტურისტული პოტენციალის პრაქტიკაში რეალიზებისათვის.

დანართები:

შურუბუმის მღვიმის გეგმა



მუხურის მღვიმის გეგმა





UNITED NATIONS
INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

Vienna International Centre
Wagramerstr. 5, P.O. Box 300, A-1400 Vienna, Austria
+43 1 26026-0; www.unido.org; unido@unido.org